პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

7 ნოემბერი ორშაბათი

1917. ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისი: სახელმწიფოებრივი ძალაუფლება გადავიდა პეტროგრადის მ. და ჯ. კ. საბჭოს ორგანოს, სამხ. რევოლუციონერ კომიტეტის ხელში. საღამოს 10 ს. 50 წ. საბჭოების 2 ყრილობის გახსნა. ზამთრის სასახლის აღება. დრ. მთავრობის წევრების დაპატიმრება. კერენსკი გაიქცა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრონშტადტის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

[illegible]
და გაცემას სწარმოებს საქართველოს ცენტრალური გამომცემლობის განყოფილება-ში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

საბჭოთა რუსეთის საგ. საქ. კომისარმა ჩიჩერინმა საპროტესტო ნოტით მიმართა ევროპის სახელმწიფოებს და ამერიკას, რომ ვაშინგტონის კონფერენციაზე არ იქნა დაპატიჟებული რუსეთი.

რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკებამ დაკარგა ყოველ გვარი მნიშვნელობა, რადგანაც ბესარაბიის საკითხის განხილვა რუმინეთმა კატეგორიულად უარყო.

№ 205 ორშაბათი, 7 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ორშაბათი, 7 ნოემბერი, 1921 წ. № 205

— ოთხი წელიწადი არსებობს და იბრძვის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა.
— ის იმარჯვებდა ვინტოვკით ხელში, ახლა მოიმარჯვა ჩაქუჩი და გუთანი.
— ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა რუსეთიდან გადადის დასავლეთსა და აღმოსავლეთში.
— ყველა ქვეყნის მშრომელნო! გაბედული ძახილით წინ ბურჟუაზიის დასამხობათ!
— ოქტომბრის რევოლუციის ვარსკვლავი გინათებთ ბრძოლის გზას!
— გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს! გაუმარჯოს მსოფლიოს მშრომელთ!

ბრძოლის და გამარჯვების ოთხი წლის თავი

ფრონტისთვის რომ სახიფათო არ იყოს, შეიძლებოდა ბოლშევიკებისათვის სახელმწიფო მმართველობის გადაცემა: ორ დღეში გაკოტრდებოდნენ, მათ საცოდავ უძლურობას დაინახავდა ის ხალხი, რომელიც მათ მისდევს დღეს შეუგნებლად, და სამუდამოთ ზურგს შეაქცევდა, — ასე სწერდა ბურჟუაზიული კადეტების პარტიის ორგანო 1917 წლის ენკენისთვეში.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შტატგარტზე დარჩენილი წვრილ ბურჟუაზიული ოქროპირები წინასწარმეტყველებდნენ: ორი კვირის არსებობა ძლივ-ძლივ ეღირსება ბოლშევიკებს. შემდეგ ორ თვეს უთმობდნენ, დიდი-დიდი [illegible] ორს.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკა ბოლშევიკების მეთაურობით მეხუთე წლის არსებობას იწყებს. დღეს რუსეთის მუშურ-გლეხური დიქტატურა უფრო მტკიცე და ურყევ საფუძველზეა დამყარებული, ვიდრე [illegible] ქვეყნის ბურჟუაზიული დიქტატურა. ასე იცის ისტორიამ, ასე გადაწყვიტა მან. მტარვალების საუკუნოს მოწყობილი [illegible] მაზარი სახელმწიფო, რომლის მუშებმა და გლეხებმა [illegible] ცეცხლის ომი გამოიარეს ყოველგვარი ჩაგვრის, ყოველგვარი [illegible] მომენტებს. შრომის დროშა მთელ [illegible] კაცობრიობის [illegible] სანახავათ, უხმობენ ყველა ქვეყნის და ჩაგრულთ ამ დროშის ქვეშ — ძველი, ძალადობაზე დამყარებული ქვეყნის დასამხობათ, ახალი შრომის და საყოველთაო ბედნიერების წყობილების დასამყარებლად.

სისხლით, ცრემლით, ოფლით, გამოუთქმელი წვალებით [illegible] მათი ბრძოლის გზა. ჯალათების ძალები შიგნით და გარედან ამოძრავდა და გამარჯვებულ კლასის სოციალისტურ სამშობლოს, გაზეებს ის ომის კვალში, მოსწყვიტეს დანარჩენ ქვეყნებს, შემოარტყეს ცეცხლის და შიმშილის რკალი. მაგრამ ვერ გასტეხეს მისი ნება, ვერ დაამორჩილეს დამშეულ [illegible] წინაშე, ვერ აღებინეს ხელი დაპყრობილ ძალაუფლებაზე: ისტორიული ნების აღმასრულებელი კლასი დღეს ცნობილია ყველას მიერ, ის იღებს საკუთარ საერთაშორისო სახეს, ის [illegible] კაცობრიობის ავანგარდში.

საბჭოთა რუსეთის მშრომელთა კლასი, მისი მონაპოვარის დამცველი წითელი ჯარი და მათი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია დღეს ბეჯითი რწმენით დგანან თავიანთ პოსტზე და მთელს მშრომელს კაცობრიობას უჩვენებენ მისაბაძ მაგალითს ბრძოლისას და აღმშენებლობისას.

ერთგვარი სასწაულია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოებით გარშემორტყმულმა მუშურ-გლეხური დიქტატურის ქვეყანამ გაუძლო გამძაფრებული კონტრ-რევოლუციის აგორებულ ტალღებს, გაუძლო და დაიმორჩილა საკუთარი ძალაუფლება. სასწაულია, რომ ყველა ბურჟუაზიული მთავრობები [illegible] შეიქნენ [illegible] კაპიტალის წინააღმდეგ აჯანყებული და გამარჯვებული შრომის სამეფო, სადაც სამუდამოდ შელახულია „უწმინდესი“ კერძო საკუთრების ისტორიული უფლებები.

მაგრამ ეს სასწაული სავსებით იყო ისტორიული განვითარების გარდუვალი კანონების შედეგი, რადგან შეიარაღებული პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელი პარტია — კომუნისტური პარტია.

ისტორიის განვითარების სისრულეში მოვლინებული რუსეთის პროლეტარიატი და მისი ერთგული მოკავშირე, სოფლის [illegible] გმირი-კლასი, რომლის მხრებზეა დამყარებული მშრომელთა დიქტატურის სიმაგრე.

მათი ერთგული და დაუღალავი თანაშემწეა წითელი მუშურ-გლეხური ჯარი, ეს პირმშო და საამაყო შვილი ოქტომბრის რევოლუციის.

ეს სამი ძალა არყევს და აზანზარებს დღეს ბურჟუაზიული სამყაროს ბოძებს. დასავლეთი და აღმოსავლეთი სიხარულით და იმედით შეჰყურებენ მათ ბრძოლას სისხლიან ფრონტზე, მათ წარმატებით მუშაობას უსისხლო ფრონტებზე. შეჰყურებენ და თითონ ეჩვევიან ბრძოლის წყობილებით, თითონ სწავლობენ „რუსული ენით“ ლაპარაკს საკუთარი ქვეყნების მჩაგვრელებთან. დაგვიანდა ამ კურსის გავლა, მსოფლიო პროლეტარიატი ჯერ კიდევ მოსამზადებელ კლასშია, პირველი რევოლუციონური მისი გამოსვლები გამარჯვებით არ გათავდა. მაგრამ ყველგან, სადაც კი პროლეტარიატი დაეჯახა ბურჟუაზიას, საბჭოთა ხელისუფლების მოპოვება დაისახა მან მიზნათ, ყველგან გზის მნათობელ ვარსკვლავათ გამოაცხადა კომუნისტური ინტერნაციონალის წითელი, ხუთ-კუთხოვანი ვარსკვლავი და აირჩია რუსეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლით გათელილი გზა და დღეს, საბჭოთა რუსეთის ბრძოლის და არსებობის ოთხი წლის თავზე, მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონური გული ტოკავს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა გულთან ერთად. და ვინ იცის, ოქტომბრის რევოლუციის მეხუთე წლის თავი შეიძლება ერთად იზეიმოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარიატმა ბურჟუაზიული წყობილების ნანგრევებზე.

ოქტომბერი

ამ ოთხი წლის წინეთ, თებერვლის (1917 წ.) დღეებში, როდესაც კერენსკის ვარსკვლავმა იწყო უცებ ამოსვლა რუსეთის ცაზე, ერთმა ხმამ გააპო ჰაერი და „საერთო ჰარმონიის“ დამარღვეველ დისონანსათ შეიჭრა ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებით გამოწვეულ ზეიმისა და აღფრთოვანების ატმოსფერაში: ეს იყო ხმა ვ. ი. ლენინის, სტოკჰოლმის კორესპონდენტებმა გადასცეს მაშინ ევროპის სახელგანთქმულ დიდ გაზეთებს სტოკჰოლმის მემარცხენე სოციალისტების ორგანოში დაბეჭდილი დეპეშის შინაარსი, რომლითაც ლენინი აფრთხილებდა ამ გზით პეტროგრადში მებრძოლ ამხანაგებს სადირექტივოთ. ის სწერდა მაშინ კი დიდ შეუპოვრობით: „მთელი ჩვენი დღევანდელი პოლიტიკა უნდა იყოს თავიდან ბოლომდე გამსჭვალული ერთი დედა-აზრით: კერენსკისა და მისი პოლიტიკისადმი უნდობლობით.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს დაწყებულ რევოლუციაში ჩაბმულ მუშათა კლასის გამოუკიდებელ და მედგარ ძალთა დარაზმვა, რომ მან შესძლოს გადაიყვანოს ეს ნაციონალური რევოლუცია და შეუდგეს თავის საკუთარი კლასობრივი მიზნებისათვის ბრძოლას“. ამ რამდენიმე სიტყვაში გამოთქმული იყო უკვე პროგრამა მომავალი ოქტომბრის რევოლუციის და აუცილებელი დროშა სოციალისტური გადატრიალების, რომ [illegible] შემდეგ თებერვლის რევოლუციაში გამარჯვებული ბურჟუაზიის მიერ დევნილმა პროლეტარიატმა ძირს დაანარცხა „თებერვლის გმირები“, გასტეხა ბურჟუაზიული აპარატი სახელმწიფოსი, ხელთ იგდო ძალაუფლება და ამცნო მსოფლიოს დასაწყისი ახალი ერის. ეს საკმაო იყო, რომ თავის არსებობის საფუძვლებამდე შერყეულიყო მთელი [illegible] ქვეყნიერება. მის წინააღმდეგ ამხედრდნენ და შემოესიენ მას შავი ძალები წარსულის. ოთხი წელი მოსწყდა მას შემდეგ დროთა სრბოლას და ჩვენ მოწმენი ვართ მეხუთეს დასაწყისზე გრანდიოზული სანახაობის, რომელსაც წარმოადგენს სამოქალაქო ფრონტებზე დღეს დამარცხებული უცხოელი და შინაური ბურჟუაზია, ამავე ფრონტზე გამარჯვებული რუსეთის პროლეტარიატი და ამ ფაქტით მოძრაობაში მოსული შრომის საერთაშორისო არმია. ერთნაირი წონასწორობა, რომელიც დამყარებულია დღეს ორ მებრძოლ ბანაკთა შორის, არ არის მტკიცე. მცირე ცვლილებაც დაარღვევს და კვლავ კიდევ [illegible] ძალთა განწყობილებაში კვლავ მოძრაობაში მოიყვანს მებრძოლთ და [illegible] ცეცხლს გააჩენს დროებით თითქოს ჩაქრობილი ფრონტის მთელ ხაზზე. ეს გათვალისწინებულ [illegible], ამ აზრს ვერ მოიცილებენ ისინი თავის რიგების გასამრავლებლად და გასაძლიერებლად [illegible] ყოველდღიურ მზრუნველობაში. ამას არ ივიწყებს პირველყოვლისა, რასაკვირველია, [illegible] რევოლუციის და მის სიამაყეთ [illegible] თავის ბრძოლის და გამარჯვების ოთხი წლის თავზე, რომ საერთაშორისო მდგომარეობა რუსეთის, მიუხედავად „მეგობ.“ შექმნილი მდგომარეობისა, მტკიცეა როგორც არასოდეს, ყველა ქვეყნებში აგორებული მუშათა რევოლუციონური მოძრაობის ტალღის ფაქტით. მეხუთე წელი [illegible] ძალთა კვლავ [illegible] მრავალ ფრონტზე და ყველგან მუშათა [illegible] დიდი მასების ინტერესებით, რომლის საბოლოო გამარჯვება დროებით გადადებულია მხოლოდ ბრძოლის პროცესში შექმნილ განწყობილების გამო. „ოქტომბერი“ გაიმარჯვებს მსოფლიოს მასშტაბში, ამის თავდებია აუცილებელი ძალა პროლეტარიატის და ისტორიის უფსკრულისაკენ დაქანებული წარსულის ლანდი ბურჟუაზიის.

ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს სინამდვილე

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში განცდილის მოკლე მიმოხილვის დროს, მაგონდება ერთი დამახასიათებელი საუბარი, რომელიც მე მქონდა ამ ორი წლის წინეთ ერთ მეგობარ-მენშევიკთან პოლიტიკურ თემაზე. მე შევამჩნიე მასში გამოფხიზლება, სრული გულახდილობა, ის იძულებული გახდა საკმაოდ შეეწყნარებინა თავისი მარქსისტული სიხისტე და ეცნო ბოლშევიზმის რამდენიმე დადებითი მხარეები. მან დაამთავრა საუბარი შემდეგი სიტყვებით: „მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ პარიზის კომუნარების ბედს ვერ ავიცდენთ: ჩვენ ორივენი, როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები დავიღუპებით. მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ არის დიდი განსხვავება ჩვენსა და თქვენს დაღუპვის შორის: თქვენ დაიღუპებით დიდებულად, ჩვენ კი სამარცხვინოთ“.

ასეთი გულახდილობა იმის შიშით მე მოიყვება დიდ გმირობათ და ვსცანი საუკეთესოდ არაფერი საწინააღმდეგო მეთქვა და ჩქარა შემეწყვიტა შემდეგი საუბარი. მისი პარტიის მიმართ ჩემი თანამოსაუბრის წინასწარმეტყველება სავსებით შესრულდა და ის ფაქტიურად თითონ ეხლა თავდადებით მოღვაწეობს საბჭოთა საქართველოში სამეურნეო ასპარეზზე და როგორც ჩანს, სამუდამოდ გამოეთხოვა უძლეველ პოლიტიკის საკითხებს.

რაც შეეხება ბოლშევიზმს, რასაკვირველია, შეიძლება ბოლშევიკების დამარცხებაზე ლაპარაკი წარსულში — ოთხწლიან სამოქალაქო ომის განმავლობაში იმათმა განიცადეს, შეიძლება, საკმაოდ ბევრი დამარცხებანი, მაგრამ საბოლოოდ ისინი არა თუ დაიღუპნენ (დაღუპვა თუნდაც „პარიზული“ იქნებოდა ძალიან ცუდი ხვედრი), არამედ მათ გაიმარჯვეს, მოიპოვეს არსებობის და შემდეგ — განვითარების უფლება, ეხლა კი ემზადებიან, რომ გამარჯვება მოიპოვონ ახალ, სამეურნეო ფრონტზე. პოლიტიკურად სასიკვდილოდ დამარცხებული მენშევიკი იძულებულია შექმნილ პირობებში შეიტანოს თავისი წვლილი ბოლშევიკების ხელისუფლების სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში და მით გაამართლოს თავისი შემდეგი, თუნდაც უბრალო ფიზიკური არსებობა.

ასეთია საქმეთა მდგომარეობა ამ ჟამად. ბოლშევიზმი გამოცხადდა, როგორც ერთად ერთი რევოლუციონური ფაქტორი და ყველა, ვინც ბოლშევიზმს ეწინააღმდეგებოდა, ნებით თუ უნებლიეთ თავის თავს კონტრ-რევოლუციის ბანაკში ათავსებდა.

მაგრამ სუბიექტიურად ეს მდგომარეობა ვერ შექმნა ნათლად შეთვისებული და, კერძოდ, მუშათა უმრავლესობა საქართველოში ძველი რევოლუციონური ტრადიციით სთვლიდნენ თავის თავს რევოლუციონერებად, საქმით კი ისინი მისწყდნენ ბოლშევიკურ გზებს და მოყვნენ კონტრ-რევოლუციონურ იმპერიალისტურ ბადეში.

როგორ მოხდა ეს?

ჩვენ, ქართველი კომუნისტები, არა ერთხელ ვაძლევდით ჩვენ თავს ასეთ კითხვას. მენშევიკები თავისებურ თეორიას ქმნიდნენ ამ საკითხის შესახებ და ვერაფერი მოიგონეს იმას მეტი, რომ ბოლშევიზმს ხსნიდნენ რუსეთის ჩამორჩენილობით, სადაც საერთო ეკონომიური განუვითარებლობა ქმნის მისთვის ხელსაყრელ ნიადაგს. ჩვენთვის ძნელი არ იყო ასეთი არგუმენტაციის დარღვევა.

ასე თუ ისე, ჩვენ ვიყავით დაყენებული ფაქტის წინაშე: ქალაქის პროლეტარიატი მენშევიზმს მტკიცედ მიჰყვებოდა.

მაგრამ სახელდობრ მხოლოდ სოფლის პროლეტარიატმა, ღარიბმა გლეხობამ მალე გამოაშკარავა თავისი ბოლშევიკური სახე და სერიოზულად შეუტია მენშევიკების ბატონობას.

ამ გვარად მივიღეთ უცნაური სურათი: ქალაქის მუშა მენშევიზმის დროშის ქვეშ სამხედრო ხელოვნების ყველა წესების საშუალებით აწარმოებდა სისტემატიურ ბრძოლას სოფლის ღარიბულ გლეხობის წინააღმდეგ, რომელიც გარკვეულად ბოლშევიზმს ემხრობოდა.

არ იყო ძნელი ამ ბრძოლის შედეგის წინ და წინ გათვალისწინება. დაქსაქსულმა, განცალკევებულმა, მასიურ მოქმედებას მიუჩვეველმა გლეხობამ, რომელსაც ამას გარდა არ ყავდა გამოცდილი ხელმძღვანელები გამოიჩინა განსაცვიფრებელი სიმხნევე ბრძოლაში: რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი მაზრები იყო აჯანყებულ გლეხების ხელში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აჯანყებულებს ქედი უნდა მოეხარათ სახელმწიფოებრივი ძალის წინაშე, რომელმაც მიმართა მათ წინააღმდეგ ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები არა მარტო თავად აზნაურობის და მემამულეების დახმარებით, არამედ ქალაქის მუშების დახმარებითაც.

დიახ, ქალაქის მუშები შეიქნენ მოწყვეტილნი რუსეთის რევოლუციისაგან და მიდიოდნენ ხელი ხელჩაკიდებულნი საკუთარი ერის წიაღში მყოფ თავიანთ კლასობრივ მტრებთან ერთად. ეს იყო უმთავრესად რკინის გზის პროლეტარიატი, რომელიც ყოველთვის ყველა სხვა წარმოების მუშების განწყობილებაზე ყოველთვის გადამწყვეტ გავლენას ახდენდა. ის შეიქნა მენშევიზმის სიმაგრედ თებერვლის რევოლუციის დაწყებიდან და რაც დრო მიდიოდა მით უფრო ეფლობოდა ის ყოველდღიურობის ჭაობში; მან ვერ შესძლო თავის დაღწევა ნაციონალისტურ [illegible].

ბოლშევიზმის პირველი ლოზუნგები არაფრად ეპიტნავათ რკინის გზელებს. შეიძლება აქ არაფერი საკვირველი არ იყოს. ომის საკითხი ყველაზე უფრო აღელვებდა მუშების იმ ნაწილს, რომელსაც ომი უშუალოდ ეხებოდა მობილიზაციით, სამხედრო მოქმედებათა თეატრზე გადასროლით, სადაც მათ სიკვდილი არ ასცდებოდა. ამ მხრით ყველაზე უფრო კარგად დაზღვეულნი იყვნენ რკინის გზელები. იმათ შეეძლოთ ამაოდ დაეცინათ ლოზუნგისათვის, რომელიც მოითხოვდა: „ყოველისფერი ძლევამოსილ [illegible] სხვებთან ერთად გერმანელებზე საბოლოოდ გასამარჯვებლად“, და ამავე დროს არავითარი [illegible] არ გაეღოთ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ კვალიფიციურ და მაღალ ქირიან მუშების დიდი ნაწილი რკინისგზელები არიან ისინი კი ათასგვარ ძაფებით არიან დაკავშირებულნი წვრილ და თითქმის საშუალო ბურჟუაზიასთანაც და ყოველთვის განიცდიან ამ უკანასკნელის იდეურ გავლენას.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ დაამარცხა თავისი მტრები, სწორედ ომის შეწყვეტის თუ გაგრძელების საკითხში და ამით წინდაწინვე დიდი ხნით მოიპოვა, როგორც თანაგრძნობა და დახმარება, ისე საზოგადოების განსაზღვრულ კლასების და მათ ცალკე კატეგორიების სიძულვილი და მტრობაც.

დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პროლეტარიატი არ მიჰყვებოდა მენშევიზმს ცალკე [illegible], რომელიც [illegible] რევოლუციამდე [illegible], მაგრამ რევოლუციის შემდეგ იგივე პროლეტარიატი ერთობ მალე [illegible] საქართველოს პროლეტარიატის [illegible] ფაქტიურად, გადაიქცა [illegible], რომელიც ოკუპაციის ხელებისაგან შესდგებოდა.

ოთხი წლის განმავლობაში დიდი რევოლუციური [illegible] თავისი დიდი [illegible] პროლეტარიატი. [illegible] სოციალისტური პარტიის [illegible]. მაგრამ ისტორიამ უდიდეს ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლის თავი [illegible] და საერთაშორისო სოლიდარობის ყველა ძველ საკითხებს, რომელთა [illegible] პროლეტარულ [illegible] საერთაშორისო პროლეტარიატისათვისაც ახალ საკითხებს, რომელსაც დაკავშირებული არიან ეკონომიური პოლიტიკის ახალ კურსთან ჩამორჩენილ და განადგურებულ ქვეყნის პირობებში. საქართველოს პროლეტარიატი უნდა გაიგოს და დაძლიოს ის უპირატესობა, რომელიც იგივე სოციალურ მდგომარეობით მას უხსნის [illegible] ეს არის დიდ ტერიტორიაზე [illegible] სოფლის პროლეტარიატის [illegible] ატმოსფეროში [illegible].

დიადი მონაპოვარი, რომელიც მინიჭებულია ოქტომბრის რევოლუციის მიერ, [illegible] პროლეტარიატის [illegible] ყველაფერს, [illegible] გამარჯვების [illegible].

მ. ტოროშელიძე.

ოქტომბრის რევოლუციის 4 წ. თავის გამო

ჩვენ ვზეიმობთ (ნოემბრის 7) 25 ოქტომბრის ოთხი წლის თავს.

რაც უფრო გვშორდება ჩვენ ეს დიდებული დღე, მით უფრო ნათელი ხდება პროლეტარული რევოლუციის მნიშვნელობა რუსეთში, მით უფრო ღრმათ ვუფიქრდებით აგრეთვე ჩვენ მუშაობაში შეძენილ პრაქტიკულ გამოცდილებას, საერთოთ აღებულს.

სულ მოკლედ და, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლები სისრულით და სისწორით ეს მნიშვნელობა და ეს გამოცდილება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ.

უშუალო და უახლოესი მიზანი რევოლუციისა რუსეთში იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული: საშუალო საუკუნოების ნაშთების დამხობა, მათი ბოლომდე მოსპობა, რუსეთის გაწმენდა ამ ბარბაროსობიდან, ამ სირცხვილიდან, ყოველგვარი კულტურის და პროგრესის შემაფერხებელი მუხრუჭიდან ჩვენს ქვეყანაში.

და ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ ამ გაწმენდის საქმე ჩვენ შევასრულეთ გაცილებით უფრო მედგრად, სწრაფად, თამამად, წარმატებით, ფართოდ და ღრმად, ხალხის მასსებზე, მის ქვედა ფენზე ზედმოქმედების თვალსაზრისით, ვინემ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ 125 წელიწადზე უფრო წინედ.

ანარქისტებიც, წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატებიც (ე. ი. მენშევიკები და ესერები, როგორც რუსეთის წარმომადგენელნი ამ საერთაშორისო სოციალური ტიპისა) ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ არაჩვეულებრივად ბევრ აბდა-უბდას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის დამოკიდებულების საკითხის შესახებ სოციალისტურისადმი (ე. ი. პროლეტარულისადმი). მაგრამ ამ საკითხის ჩვენი გაგების სიმართლე ამ მუხლში, წინანდელი რევოლუციების გამოცდილების ჩვენი გათვალისწინების სისწორე სავსებით დადასტურდა 4 წლის განმავლობაში. ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუცია ჩვენ მივიყვანეთ ბოლომდე, როგორც არ უქნია ეს არავის. ჩვენ სრულიად შეგნებულად, მტკიცედ და შეუდრეკლად მივიწევთ წინ, სოციალისტურ რევოლუციისაკენ, ვიცით, რომ ის არ არის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციიდან ჩინური კედლით გაყოფილი, ვიცით, რომ მხოლოდ ბრძოლა გადასწყვეტს, რამდენად შევსძლებთ ჩვენ (საბოლოო ანგარიშში) წინ წაწევას, განუსაზღვრელად მაღალი მიზნის რა ნაწილს გავხდით [illegible], ჩვენი გამარჯვებების რა ნაწილს დავიცავთ და განვამტკიცებთ ჩვენ, ვიცხოვრებთ, დავინახავთ. მაგრამ ჩვენ ახლაც ვხედავთ, რომ გაკეთებულია არაჩვეულებრივად დიდი რამ განადგურებულ, დატანჯულ, ჩამორჩენილ ქვეყნისათვის — საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

მაგრამ დავამთავროთ ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსის შესახებ ლაპარაკი. მარქსისტებმა უნდა იცოდნენ, თუ რას ნიშნავს ეს. განმარტებისათვის ავიღოთ თვალსაჩინო მაგალითები.

რევოლუციის ბურჟუაზიულ დემოკრატიული შინაარსი, ეს ნიშნავს ქვეყნის სოციალურ ურთიერთობათა (წყობის, დაწესებულებების) გაწმენდას საშუალო საუკუნოების ნაშთებიდან, ბატონყმობიდან, ფეოდალიზმიდან.

როგორი იყო ბატონყმობის უმთავრესი გამოხატულებანი, ნაშთები რუსეთში 1917 წელს? მონარქია, წოდებრივობა, მიწისმფლობელობა და მიწის სარგებლობა, დედა-კაცის მდგომარეობა, სარწმუნოება, ეროვნებათა ჩაგვრა. აიღეთ რომელიც გნებავთ ამ „ავგიის თავლათაგანი“ დატოვებულნი, რო ითქვას, საგრძნობლად დაუწმენდელი ყველა მოწინავე სახელმწიფოების მიერ, მათგან ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციების მოხდენის დროს 125, 250 და მეტ (1649 წ. ინგლისში) წლის წინედ, — აიღეთ რომელიც გნებავთ ამ „ავგიის თავლათაგანი“. დაინახავთ, რომ ჩვენ ისინი ზედმიწევნით გავასუფთავეთ. სულ რაღაც ათ კვირაში, დაწყებული 1917 წლის 25 ოქტომბრიდან (7 ნოემბერი) დამფუძნებელ კრების გარეკვამდე (1918 წ. 5 იანვარს), ჩვენ ამ დარგში გავაკეთეთ ათასჯერ მეტი, ვინემ თავიანთ ბატონობის რვა თვის განმავლობაში გააკეთეს ბურჟუაზიულ-დემოკრატებმა და ლიბერალებმა (კადეტები), წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატებმა (მენშევიკებმა და ესერებმა).

ეს ლაჩრები, მოლაყბენი თვით-შეყვარებული ნარცისები და ჰამლეტიკები იქნევდნენ ქაღალდის ხმალს — და მათ ვერ მოსპეს თვით მონარქიაც კი. ჩვენ გადავყარეთ შორს მთელი მონარქიული სიბინძურე, როგორც არავინ, როგორც არასოდეს, ჩვენ არ დაგვიტოვებია ქვა-ქვაზე, აგური აგურზე წოდებრივობის დიდ შენობაში (ყველაზე მოწინავე ქვეყნებმა, როგორც არიან: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, დღევანდლამდე თავი ვერ დაუხწევიათ წოდებრივობის ამ ნაშთებისათვის!) წოდებრივობის ყველაზე უფრო ღრმა ძირები, სახელდობრ: ფეოდალიზმის და ბატონყმობის ნაშთები მიწათმფლობელობაში ჩვენ ბოლომდე ამოვაგდეთ. „შეიძლება ვიდავოთ“ (საზღვარ-გარეთ საკმაოდ ბევრია ლიტერატორები, კადეტები, მენშევიკები და ესერები, რომ ამ კამათით გაირთონ თავი) იმაზე, თუ რა გამოვა „ბოლოს და ბოლოს“ ოქტომბრის დიადი რევოლუციის მიერ გატარებული მიწის რეფორმიდან. ჩვენ ახლა ხალისი არა გვაქვს დრო დავკარგოთ ამ კამათისათვის, ვინაიდან ბრძოლით ვსჭრით ამ დავას და მასგან გამომდინარე სხვა მრავალ დავასაც. მაგრამ არ შეიძლება დავა იმ ფაქტის წინააღმდეგ, რომ წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატები რვა თვე „ეთანხმებოდნენ“ მემამულეებს, რომლებიც ბატონყმობის ტრადიციების მფლობელნი იყვნენ, ხოლო ჩვენ რამოდენიმე კვირაში ძირიანად ფესვიანად მოვსპეთ რუსეთის მიწის პირიდან ეს მემამულეებიც და მთელი მათი ტრადიციებიც.

აიღეთ სარწმუნოება, ან დედაკაცის უუფლებობა, ან არარუსი ეროვნებათა ჩაგვრა და უთანასწორობა, ყველა ეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საკითხებია. წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის ლაყბები რვა თვე ამაზე ლაყბობდნენ. არ არის მსოფლიოს არც ერთი თვით მოწინავე ქვეყანაც, სადაც ეს საკითხები ბოლომდე იყოს გადაჭრილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მიმართულებით. ჩვენში ისინი გადაჭრა ბოლომდე ოქტომბრის რევოლუციის კანონმდებლობით. ჩვენ სარწმუნოებას ვებრძოდით და ვებრძვით როგორც საჭიროა. ჩვენ მივეცით ყველა არა-რუს ეროვნებებს მათი საკუთარი რესპუბლიკები ან ავტონომიური ოლქები. ჩვენში, რუსეთში არ აქვს ადგილი ისეთ სიმდაბლეს, სისაძაგლეს და საზიზღრობას, როგორიცაა დედაკაცის უუფლებობა ან არა სრული უფლებიანობა, საშუალო საუკუნოების და ბატონყმობის ეს აღმაშფოთებელი ნაშთი, რომელსაც იცავს ანგარებიანი ბურჟუაზია და გამოლეყებული, დამფრთხალი წვრილი ბურჟუაზია გამოუკლებლად დედამიწის ყველა ქვეყნებში.

ეს ყველაფერი შინაარსია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისა. ასი ხუთი და ორას ორმოცდა ათი წლის წინედ აღუთქვეს ხალხებს ამ რევოლუციის (ამ რევოლუციების, თუ ვილაპარაკებთ ერთ ზოგადი ტიპის თითოეულ ეროვნულ სახეზე) მოწინავე წინამძღოლებმა კაცობრიობის განთავისუფლება საშუალო საუკუნოების პრივილეგიებისაგან, დედაკაცის უთანასწორობისაგან, ამა თუ იმ სარწმუნოების (ან „სარწმუნოების იდეის“, საერთოდ „სარწმუნოებრიობის“) სახელმწიფოებრივი უპირატესობიდან, ეროვნებათა უთანასწორობიდან, აღუთქვეს და არ შეასრულეს. არ შეუძლიათ შეასრულონ, რადგან ამის ხელს უშლიდა „პატივისცემა“ წმინდა კერძო საკუთრებისადმი“. ჩვენს პროლეტარულ რევოლუციაში ამ წყეულ „პატივისცემას“, ამ სამჯერ წყეულ საშუალო საუკუნოებრიობისადმი და ამ „წმინდა კერძო საკუთრებისადმი“, ადგილი არ ჰქონია.

მაგრამ, რათა რუსეთის ხალხებისათვის შეგვენარჩუნებინა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენ წინ უნდა გაგვეწია, და გავიწიეთ კიდევ წინ. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციის საკითხებს ჩვენ ვწყვეტდით მსვლელობის დროს, გაკვრით, როგორც ჩვენი მთავარი და ნამდვილი, პროლეტარულ-რევოლუციონური, სოციალისტური მუშაობის „დამხმარე პროდუქტს“. რეფორმები, ვამბობდით ჩვენ ყოველთვის, არის რევოლუციონური კლასობრივი ბრძოლის დამხმარე პროდუქტი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნანი, ვამბობდით ჩვენ და საქმით დავამტკიცეთ, არის პროლეტარული, ე. ი. სოციალისტური რევოლუციის დამხმარე პროდუქტი. აქ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ყველა კაუცკებმა, გილფერდინგებმა, მარტოვებმა, ჩერნოვებმა, ჰილკვიტებმა, ლონგეებმა, მაკდონალდებმა, ტურატებმა და „2 ნახ.“ მარქსიზმის სხვა გმირებმა ვერ გაიგეს ასეთი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციებს შორის. პირველი გადადის მეორეში. მეორე გაკვრით სწყვეტს პირველის საკითხებს. მეორე განამტკიცებს პირველის ნამოქმედარს. ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა სჭრის, თუ რამდენად შესძლებს მეორე პირველის გადაბიჯებას.

სწორედ საბჭოთა წყობილება არის ერთი რევოლუციის მეორეში ამ გადასვლის ერთი თვალსაჩინო მაგალითი ან გამოხატულება. საბჭოთა წყობილება არის დემოკრატიზმის მაქსიმუმი მუშებისა და გლეხებისათვის, ის ნიშნავს ბურჟუაზიულ დემოკრატიზმთან კავშირის გაწყვეტას და დემოკრატიის ახალი, მსოფლიო-ისტორიულ ტიპის აღმოცენებას: სახელდობრ პროლეტარულ დემოკრატიზმის ან პროლეტარიატის დიქტატურის.

დაე, მომაკვდავ ბურჟუაზიის და მის მიმდევარ წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის ძაღლებმა და ღორებმა დაგვაყარონ წყევა-კრულვა, გინება, დაცინვა მარცხისა და შეცდომებისათვის ჩვენ მიერ ჩვენი საბჭოთა წყობილების შენებაში. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ მარცხი და შეცდომები ჩვენში მართლაც მრავალი იყო და მათ ახლაც ბლომათ აქვთ ადგილი. და განა შეიძლება დაუმარცხებლად და უშეცდომოთ მოქმედება ისეთ ახალ, მთელი მსოფლიო ისტორიისათვის ახალ საქმეში, როგორიცაა სახელმწიფოებრივი წყობილების ჯერ უნახავ ტიპის შექმნა! ჩვენ შეუდრეკლად ვიბრძოლებთ ჩვენი ნაკლულევანებათა და შეცდომათა გასწორებისათვის საბჭოთა პრინციპების ცხოვრებასთან [illegible] მეტისმეტად დაშორებულ, შეფარდების გასასწორებლად. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ჩვენ ვამაყობთ მით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დავიწყოთ საბჭოთა სახელმწიფოს შენება, დავიწყოთ ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა, რომელიც დაჩაგრულია ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ყველგან ახალ ცხოვრებისაკენ მიიწევს, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ კაპიტალიზმის უღლიდან, იმპერიალისტურ ომებიდან.

საკითხი იმპერიალისტურ ომების შესახებ, ფინანსიურ კაპიტალის ახლა მთელს მსოფლიოში იმ გაბატონებულ პოლიტიკის შესახებ, რომელიც აუცილებლად იწვევს ახალ იმპერიალისტურ ომებს, აუცილებლად წარმოშობს ეროვნულ ჩაგვრის, ძარცვა-გლეჯის, ავაზაკობის, სუსტ, ჩამორჩენილ წვრილი ხალხების დახრჩობის გაუთავებელ გაძლიერებას, — ეს საკითხი 1914 წლიდან გახდა დედა-მიწის ყველა ქვეყნის მთელი პოლიტიკის მთავარ საკითხად. ესაა საკითხი იმის შესახებ, მომავალ იმპერიალისტურ ომში, რომელსაც ამზადებს ბურჟუაზია, რომელიც ჩვენ თვალებ წინ იზრდება კაპიტალიზმიდან, იქნება თუ არა გაწყვეტილი 20 მილიონი კაცი (1914—1918 წლების ომში მოკლულ 10 მილიონის მაგივრად, „წვრილი“ ომების დამატებით, რომლებიც სულაც არ არიან დასრულებულნი), იქნება თუ არა ამ აუცილებელ (თუ კაპიტალიზმმა იარსება) მომავალ ომში დასახიჩრებული 60 მილიონი კაცი (1914—1918 წლებში დასახიჩრებულ 30 მილიონის ნაცვლად). ამ საკითხშიაც ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა. ბურჟუაზიის მსახურნი და მათი ბანის მიმცემი ესერების და მენშევიკების სახით, მთელი მსოფლიოს მთელი წვრილ ბურჟუაზიული, ვითომდა „სოციალისტური“ დემოკრატიის სახით დასცინოდნენ „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის“ ლოზუნგს. ხოლო ეს ლოზუნგი აღმოჩნდა ერთად ერთ სიმართლედ — არა სასიამოვნო, უხეში, გაშიშვლებული, სასტიკი, ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ სიმართლედ შოვინისტური და პაციფისტური სიცრუეთა სიმრავლეს შორის. ფარდა ეხდება ამ მოტყუილებათ. [illegible] სახე. ყოველი დღე უფრო და უფრო დაუზოგველად ცხადყოფს ბრესტისაზე უარეს, ვერსალის ზავის მნიშვნელობას და შედეგებს. და სულ უფრო ნათლად, უფრო გარკვევით, უფრო დაჟინებით იჭრება ათეულ მილიონების წინაშე მოსისხლე სიმართლე გუშინდელი ომის და ხვალინდელი მოსალოდნელი ომის მიზეზების შესახებ: არ შეიძლება თავის დაღწევა იმპერიალისტური ომიდან, მისი აუცილებლობით წარმომშობ იმპერიალისტური ზავიდან, არ შეიძლება ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა სხვანაირად, თუ არ ბოლშევიკური ბრძოლით და ბოლშევიკური რევოლუციით.

დაე, გამძვინვარებით აგინონ ეს რევოლუცია ბურჟუაზიამ და პაციფისტებმა, გენერლებმა და მეშჩანებმა, კაპიტალისტებმა და ფილისტერებმა, ყველა მორწმუნე ქრისტიანებმა და 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალის ყველა რაინდებმა. ბოროტებისა, ცილისწამების და სიცრუის ვერავითარი ნაკადებით ვერ დაფარავენ ისინი იმ მსოფლიო ისტორიულ ფაქტს, რომ პირველად ასეულ და ათასეულ წლების განმავლობაში მონების მფლობელთა შორის ომს მონებმა უპასუხეს ლოზუნგის წამოყენებით: გადავაქციოთ ეს ომი მონების მფლობელთა შორის მათი ნადავლის გაყოფისათვის, ყველა ხალხთა მონების ომად ყველა ხალხების მონათ მფლობელთა წინააღმდეგ.

პირველად ასი და ათასი წლის განმავლობაში გაურკვეველი და უიმედო მოლოდინიდან პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ეს ლოზუნგი გადაიქცა მილიონ ჩაგრულთა სამოქმედო ბრძოლის ნათელ და მკვეთრ პროგრამათ, გადაიქცა პროლეტარიატის პირველ გამარჯვებით, ომების მოსპობის პირველ გამარჯვებით, ყველა ქვეყნების მუშათა კავშირის გამარჯვებით სხვა-და-სხვა ხალხთა ბურჟუაზიის კავშირზე, იმ ბურჟუაზიის, რომელიც ზავს უდებს და ომებს აცხადებს კაპიტალის მონების, დაქირავებულ მუშების, გლეხების და მშრომელების ხარჯზე.

ეს პირველი გამარჯვება — კიდევ არ არის საბოლოო გამარჯვება და ის მოიპოვა ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ გაუგონარი სიმძიმით, სიძნელით, არ ნახული ტანჯვა-წამებით, ჩვენი დიდი დამარცხებისა და შეცდომებით ერთად. და მართლაც რა საკვირველია, რომ შეცდომებით, დამარცხებით მაგრამ მოიპოვა ერთმა ჩამორჩენილმა ხალხმა, დამარცხებით [illegible] დედამიწის უძლიერესი და მდიდარი ქვეყნების იმპერიალისტური ომები! ჩვენ არ გვეშინია ჩვენი შეცდომების აღიარების და ფხიზლად განვიხილავთ, უნდა ვისწავლოთ მათი გასწორება. მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად: პირველად ასი და ათასი წლის განმავლობაში დაპირება, რომ „პასუხს გავცემთ“ მონათ მფლობელების ომებს, მონების რევოლუციით ყველას და ყოველგვარ მონათ-მფლობელების წინააღმდეგ, შესრულებულია სავსებით და სრულდება ყოველგვარ სიძნელეთა.

ჩვენ ეს საქმე დავიწყეთ. სახელდობრ როდის, რა ვადაში ან რომელი ნაციის პროლეტარიატი დაასრულებს, მიიყვანს ამ საქმეს ბოლომდე — ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ის, რომ ყინული გატეხილია, რომ გზა გახსნილი და უკვე ნაჩვენებია.

ყველა ქვეყნის კაპიტალისტებო, განაგრძეთ თქვენი მლიქვნელობა, „დაიცავით სამშობლო“ იაპონიის — ამერიკისაგან, ამერიკა — იაპონიისაგან, საფრანგეთის — ინგლისისაგან და სხ. განაგრძეთ „ბრძოლა-თავდაცვის“ მოსპობის საშუალებების შესახებ იმპერიალისტურ ომების წინააღმდეგ ახალი „ბაზელის მანიფესტებით“ (1912 წ. ბაზელის მანიფესტის მსგავსათ), თქვენ და ორ ნახევარი ინტერნაციონალის რაინდებო! ყველა პაციფისტურ მეშჩანებთან და მთელი ქვეყნის ფილისტერებთან ერთად! იმპერიალისტურ ომებიდან, იმპერიალისტური ქვეყნებიდან პირველმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ გამოგლიჯა ასი მილიონი ადამიანები. შემდეგი რევოლუციები გამოგლეჯავს ასეთ ომებიდან მთელ კაცობრიობას.

უკანასკნელი — მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი, მეტად ძნელი და დაუსრულებელი ჩვენი საქმე არის სამეურნეო აღმშენებლობა, ეკონომიური საძირკვლის ჩადგმა ახალ, სოციალისტურ შენობისათვის და დანგრეულ ფეოდალურისა და ნახევრად დანგრე-

წითელი ოქტომბერი

დილა არის... შიგ ქალაქში ზარბაზნების ხმა გრიალებს,
მზის სხივები ცეცხლის ალში დათამაშობს, დაცქრიალებს...
ხმაურობა, თოფთ მწყობრი ხმა, მტვრევა ისმის შავ სასახლის;
ბრბო ქუჩებსა გასევია, მოსისხლე მტერს ჩაქუჩს ახლის...
უკიდება ცეცხლი ქალაქს, თავზე შავად ასდის ბოლი,
ილეწება რკინის ლობე—ვერ აკავებს მსხვილი რგოლი,
სისხლის ღელე ქუჩებს რეცხავს, წარღვნის შავ დღეს მოგაგონებს,
მაგრამ მაშვრალთ მტკიცე სულს, გულს ვერ აშინებს ვერ აღონებს!..
აგერ, ხედავ შვილი მამას სიკვდილის წინ, რომ ეხვევა;
ბარიკადა კვლავ ხმაურობს, როდი წყდება ტყვიის ფრქვევა...
თან კიჟინა. ცეცხლის ალში კაცი ძახილს ვერ გაიგებს,
და ეს უფრო ასალკლდევებს თავგანწირულ მაშვრალთ რიგებს...
და ჰა, ისევ გადამწყვეტი ძლიერდება კიდევ ბრძოლა,
ხან თვით სახლებს აყირავებს ზარბაზანთ და თოფთა სროლა,
სხივთ ცქრიალი აღარ აღ სჩანს, იბურება ბოლით ზეცა,
გადამწყვეტ ჟამს, გეგონება ჰა, ეს არის გრძნობს თვით ზეცა...
შეწყდა ბრძოლა... მაშვრალთ წყებას დროშა მოაქვთ გამარჯვების,
დაინარცხა ტანჯვის კერპი—გაიჭედა წამი შვების...
გაიჭედა მომავლის საზეიმო მტკიცე რწმენა,
და ედება მთელ საყაროს, მან არ იცის ცდა და თმენა!..
დილა არის... შიგ ქალაქში ზარბაზნების ხმა გრიალებს,
მზის სხივები ცეცხლის ალში დათამაშობს, დაცქრიალებს...
ხმაურობა, თოფთ მწყობრი ხმა, მტვრევა ისმის შავ სასახლის;
ბრბო ქუჩებსა გასევია, მოსისხლე მტერს ჩაქუჩს ახლის!..

იონა ვაკელი.

ოქტომბრის რევოლიუცია და ქართველი მენშევიკები

მენშევიკური საქართველოს ისტორია არსებითად უნდა იწყებოდეს ოქტომბრის გადატრიალებიდან. „კერენშჩინის“ და კოალიციური პოლიტიკის დამარცხებამ, ბურჟუაზიულ-შემთანხმებელთა ძალა-უფლების დამხობამ და უკანასკნელის გადასვლამ საბჭოების ხელში ქართველ მენშევიკებში შექმნა დაახლოვებით ისეთი მდგომარეობა, რანაირსაც განიცდის ჭოტი გათენების დროს.

ეს იყო სრული დაბნეულობის მდგომარეობა. თვით უფრო ნიჭიერი მენშევიკებიც უუდიდეს მუშურ გლეხური რევოლიუციის ამ მომენტში ბლოკის დედაბერთან ერთად მოსთქვამდნენ.

„Ох, матушка—заступница.
Ох, большевики загонят в гроб!“

ოქტომბრის გადატრიალებამ პირველ ყოვლისა გამოაშკარავა მენშევიკური იდეოლოგიის მთელი უბადრუკობა, მისი ზნეობრივი გაკოტრება. რევოლიუციამ არ მოისურვა მიმდინარეობა იმ კალაპოტით, რომელიც შემოუფარგლეს მას კრეტინებმა მენშევიკური ბანაკიდან.

აი როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი რევოლიუციის მსვლელობა ქართველ მენშევიკებს: ნ. ჟორდანიამ 1917 წლის მარტში, რუსეთის რევოლიუციის განვითარება დაახასიათა, როგორც კლასობრივი ჰარმონიის გამოხატულება, ყოველგვარ დავას, შეხლა-შემოხლას და, მით უმეტეს, კლასთა ბრძოლას არ უნდა ჰქონოდა ადგილი ამ უუდიდეს როდისმე მომხდარ რევოლიუციაში.

„პროლეტარიატი და ბურჟუაზია, ამბობს ჟორდანია, ერთად ხელმძღვანელობენ რევოლიუციის საქმეებს“. და შემდეგ: „ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიდოდეთ იმ კლასებთან, ყველა იმ ძალებთან, რომელნიც მონაწილეობენ რევოლიუციის მსვლელობაში, რათა მარტონი არ დავრჩეთ და საერთო ძალღონით ავაშენოთ რესპუბლიკა“ (ჟორდანიას სიტყვა 1917 წლის 18 მარტს, „ორი წლის განმავლობაში“).

ქართველ მენშევიკების ბელადი ურჩევდა მუშებს გაფიცვებისაგან თავის შეკავებას. შრომასა და კაპიტალს შორის დავა, მისი აზრით უნდა გადაეწყვიტა მომრიგებელ კამერებს. უკანასკნელებს უნდა გადაეჭრათ აგრეთვე სოფლის ყველა საკითხები. ერთი სიტყვით, ყველა კლასებო, მობრძანდით სრულიად რუსეთის მომრიგებელ კამერაში, რომელმაც დამფუძნებელ კრებამდე უნდა შესცვალოს ველური კლასობრივი ბრძოლის ძველი მეთოდი გაბატონებულ დაჩაგრულ კლასების ინტერესთა ჰარმონიზაციით, დემოკრატიის მჭევრმეტყველ დამცველების, მენშევიკების და ესერების დახმარებით.

შემდეგ კი რუსეთის მიწა-წყლის ბატონ პატრონი, დამფუძნებელი კრება უნდა მობრძანებულიყო მთელი თავისი სიძლიერით და სიდინჯით და უწმინდესი დემოკრატიის მეთოდებით გადაეჭრა თანამედროვე მრავალწახნაგოვანი სინამდვილის ყველა სოციალური, ეროვნული და სხვა წყეული საკითხები.

და უცბად დამარცხდა და დაიმსხვრა ეს სქემა, რომელსაც მცხოვრებთა მილიონი მასები აღტაცებაში მოჰყავდა. მომრიგებელ კამერების და შეთანხმებათა ნაცვლად აღიმართა ბარიკადები, თავისი ფარგლებით, მანამდე უნახავი და გაუგონარი ომები დაიწყო კლასებ შორის.

ჟორდანია, როგორც რუსეთის მრავალი მენშევიკიც, ვერ მიხვდა, თუ რა მოხდა პეტერბურგში 25 ოქტომბერს.

მრავალ შორსმჭვრეტელ „ობივატელურ“ პოლიტიკოსებთან ერთად ქართველ მენშევიკების ბელადიც ფიქრობდა, რომ პეტერბურგში ადგილი ჰქონდა ინციდენტს, არც ისე მნიშვნელოვანს თავისი ზომით, რომელსაც შესაძლებელია და საჭიროა ლიკვიდაცია ეყოს. რეზოლიუციაში, რომელიც წარმოადგინა მან თბილისის მუშების და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე 25 ოქტომბერს, ნათქვამია: „რევოლიუციის ინტერესები გვიკარნახებენ აჯანყების მშვიდობიან ლიკვიდაციას, მთელი რევოლიუციონური დემოკრატიის შეთანხმების საფუძველზე“...

ჟორდანია დარწმუნებული იყო ოქტომბრის გადატრიალების ლიკვიდაციის აუცილებლობაში. ის მხოლოდ ცდილობს მის მშვიდობიან ლიკვიდაციას, მომრიგებელი კამერის აღდგენის ინტერესებისათვის... სამი დღის შემდეგ ჟორდანია თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე ასე მოგვითხრობს ოქტომბრის გადატრიალების შესახებ: „აჯანყება პეტროგრადში უკანასკნელ დღეებს ითვლის. ის იმ თავითვე განწირული იყო დამარცხებისათვის, მიტომ რომ ძალა-უფლების ასეთი ფარული—შეთქმულობითი დაუფლება ეწინააღმდეგება რევოლიუციის განვითარების ბუნებრივ მსვლელობას“...

ეს მაშინ როცა, ერთი ქალაქი მეორეზე, ჯერ ცენტრში, შემდეგ პერიფერიაშიც ახდენდნენ თავის ოქტომბრის გადატრიალებას. ამიერ-კავკასიაშიაც მოუთმენლობა უფრო და უფრო იზრდებოდა. ჯარის განწყობილება აშკარად ბოლშევიკური იყო. ამიერ-კავკასიის პროლეტარულმა ცენტრმა, ბაქომ, გამოიჩინა დაჟინებითი მისწრაფება, პეტერბურგს გაჰყოლოდა.

ამიერ-კავკასიის ბურჟუაზია სასიკვდილო შიშს განიცდიდა, ბეგებმა, ხანებმა და დანარჩენმა ფეოდალურმა სიბინძურემ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილებმა, ინტრიგანობა იწყეს.

ამ მომენტში მთელი ამიერ-კავკასიის სოციალ-დამცველები, ქართველი მენშევიკების მეთაურობით, ყველა ისინი, ვინც 1914 წლიდან დაწყებული, კლასებ შორის სამოქალაქო მშვიდობიანობის ლოზუნგს აცხადებდა, იღებენ თავზე კეთილშობილურ მისიას, იხსნან წმინდა საკუთრება „ანარქიისაგან“, რომელიც მას მუშურ-გლეხური მასსების მხრით ემუქრებოდა.

II.

ხელმძღვანელი როლი რევოლიუციონური არმიის და პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ფარგლებში უცილობლად ეკუთნით ქართველ მენშევიკებს. ნ. ნ. ჟორდანიამ, გეგეჭკორმა და კამპანიამ დაიწყეს საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის შედგენიდან, რომელიც მალე ეგრედწოდებულ ამიერ-კავკასიის კომისარიატად გადაიქცა.

ხელისუფლების ეს საოლქო ორგანოები შედგენილ იქნენ ქართველ მენშევიკების, რუსეთის ესერების, დაშნაკების, სოციალ-ფედერალისტების და მუსავატელებისაგან. აქ, ამიერ-კავკასიის საზღვრებში „ცოცხალ“ ძალთა გაერთიანება შეიცავდა მემამულეთა ელემენტებსაც. ამ თავისებური კოალიციის მოსამსახურეთ მზად აღმოჩნდნენ მეფის ჯენერალიტეტი, ჩრდილო კავკასიის ოფიცერთა ბანდები, ერთი სიტყვით, კავკასიის და ამიერ-კავკასიის მთელი კონტრ-რევოლიუციონური ბანდა. თავის უმთავრეს მიზანს ამიერ-კავკასიის კომისარიატი ხედავდა ანარქიასთან, ეგრედ-წოდებულ ბოლშევიკურ საფრთხესთან ბრძოლაში.

კომისარიატს პირველ რიგში ორ რამეზე მოუხდა ზრუნვა: საკუთარი შეიარაღებულ ძალის შექმნაზე და, მეორე, ფრონტიდან დაძრულ რევოლიუციონურ არმიის განიარაღებაზე.

აუცილებელი იყო თოფი გამოეგლიჯათ მუშის და გლეხის ხელებიდან, რომელნიც, თავისი პეტროგრადელ და მოსკოველ ამხანაგების მსგავსად, მზად იყვნენ მბრძანებელი კლასები მიწაზე დაენარცხებინათ. ამოცანა არ იყო ადვილი უნდა ითქვას სიმართლე: ამ ორი მიზნის ასრულებაში კომისარიატმა დიდი და განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინა.

ამიერ-კავკასიის ყველა ბურჟუაზიულ, მემამულე და წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად ქართველი მენშევიკები პირველ ყოვლისა შეუდგნენ ეგრედ-წოდებულ ეროვნულ ნაწილების ორგანიზაციას, რომელნიც გადადიან მის შემდეგ სახელ-განთქმულ ეროვნულ საბჭოების გამგებლობაში.

ფრონტიდან დაბრუნებული არმიის განიარაღება დაიკისრა „ინტერნაციონალურ“ საბჭოს. განიარაღების გეგმა უკანასკნელის მიერ გამომუშავებულ იქნა გენერალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად. ამ საქმეში მონაწილეობას იღებდნენ გენერალი პრჟევალსკი, შემდეგში ვრანგელის თანამშრომელი—შატილოვი და „ინტერნაციონალის“ საბჭოს თავმჯდომარე, ქართველი ნოსკე, ჯალათი რამიშვილი.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ბრძანება განიარაღების შესახებ არ ეხებოდა კაზაკთა ნაწილებს, აგრეთვე უკრაინელებს. სხვა სიტყვებით, ბოლშევიზმში ეჭვმიუტანელ სამხედრო ნაწილებს სამშობლოში შეიარაღებულს უშვებდნენ.

ამ საქმის ასრულება დაევალა ეროვნულ ნაწილებს, რომელნიც დაუზოგველად უსწორდებოდნენ ფრონტიდან მომავალ რევოლიუციონურ ჯარისკაცებს.

ადგილის უქონლობა ჩვენ ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევჩერდეთ მენშევიკური პროვოკაციის ამ კოშმარულ ისტორიაზე. თვით მენშევიკური სახალხო გვარდიის მეთაური ჯუღელი, საოლქო საბჭოს სხდომაზე მოითხოვდა მთელ ამ საქმეში დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემას. ამიერ-კავკასიაში მაშინ ყველა მცხოვრებთ, ალბად, ახსოვთ, სისხლის მღვრელი ბრძოლები, რომელიც გაჩაღდა განიარაღების ნიადაგზე ეროვნულ ნაწილებსა და ფრონტიდან დაბრუნებულ რევოლიუციონერ ჯარისკაცებ შორის თბილის-ბალაჯარის გზაზე. სადგურ ბზედლიარი, აქსტაფა, შამქორი, [illegible], ხაჩმას გაჩაღდა დიდი ბრძოლები, ჯავშნიან მატარებლების და არტილერიის მონაწილეობით. ათასობით მსხვერპლი დაეცა ამ სისხლისმღვრელ ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც მოაწყვეს ქართველმა მენშევიკებმა რუსეთის და ამიერ-კავკასიის ბურჟუაზიის სადიდებლად. ამ ბრძოლებთან დაკავშირებით დაიწყო სომეხ-თათართა შეტაკებანი, მოხდა სასტიკი აწიოკებანი და მკვლელობები განჯაში და სხვა გუბერნიებში...

ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის, მემამულეთა და გლეხებს შორის სამოქალაქო ომის პირ მომთნე მოწინააღმდეგეებმა დაანთეს ძმათა მკვლელობის კოცონი სხვა და სხვა ეროვნებათა მშრომელ მასსებ შორის, მოკლედ რომ ითქვას, „წესიერების“ დაცვის გულისათვის გრანდიოზული პროვოკაცია მოაწყვეს.

ნათქვამს უნდა დავსძინოთ, რომ ამ მომენტიდან დაწყობილი, სოციალ-გამცემლები ამიერ-კავკასიის კომისარიატიდან იარაღს აწვდიან კალედინის სამხრეთ აღმოსავლეთის კავშირს, აგრეთვე ჩრდილოეთ-კავკასიის ჩეჩენთა ოფიცრების ბანდებს.

III.

ამიერ კავკასიის კომისარიატის შემადგენელი კოალიცია არა ბუნებრივი იყო. მასში შემავალ პარტიების როგორც სოციალური ბუნება, ისე მათი საგარეო ორიენტაციაც ერთმანეთის დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდნენ. მუსავატელები, ეს მემამულეთა პრივილეგიების დამცველები, ერთმორწმუნე ოსმალეთის ორიენტაციას იზიარებდნენ, რომელსაც, როგორც ფეოდალურ ქვეყანას შეეძლო ეხსნა ბეგების და ხანების მიწები რევოლიუციონური გლეხობის განზრახვებიდან.

დაშნაკები, როგორც რუსეთის ესერებიც, თავიანთ იმედებს უკეთეს მომავლისას უკავშირებდნენ რუსეთის მიწა წყლის სხვა და სხვა „შემკრებლების“ მოღვაწეობას და გამარჯვებებს, რომელნიც მოქმედებდნენ დონსა და ყუბანში. ამ იმედებთან შეფარდებით „კეთილშობილ მოკავშირეთა დემოკრატიაზე“ ეჭირათ თვალი.

თვით ამ პოლიტიკური კვარტეტის დირიჟორები, ქართველი მენშევიკები, თან და თან უფრო იფლობოდნენ ნაციონალურ-შოვინისტურ განწყობილებათა ამოუსვლელ ჭაობში.

გაკოტრებული მენშევიკები, უარყოფილნი მუშათა კლასის მიერ, როგორც გამყიდველნი, ეძიებენ და ჰპოულობენ თავის ნუგეშს საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიასთან კავშირში...

ომის და ზავის საკითხებმა გამოაშკარავეს ყველა დაფარული წინააღმდეგობანი კოალიციაში, რომელიც შექმნა მხოლოდ უკუყოფითი, ბოლშევიზმის ან ბრძოლის ლოზუნგის გარშემო. კოალიცია იშლება და ქართველი მენშევიკები კაზმავენ ნაციონალისტურ „როსინანტს“, რათა გაუდგნენ გზას იმპერიალისტური მფარველების მოსაძებნად.

ასე ზავისა და თავდაცვის ლოდიკამ აუცილებლობით მიიყვანა ქართველი მენშევიკები ნაციონალ-შოვინიზმისა და რევოლიუციის საქმის გამცემლობამდი.

კოალიციის დაშლამ და ამიერ-კავკასიის სამი დამოუკიდებელ რესპუბლიკის აღმოცენებამ გამოიწვიეს მწვავე საკითხი ამიერ-კავკასიის გამიჯვნისა, რასაც მოჰყვა მთელი რიგი სამხედრო შეტაკებათა საქართველოსა და სომხეთს შორის, სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის, რამაც ძალზე გაამწვავეს ნაციონალურ-შოვინისტური განწყობილებანი ხსენებულ რესპუბლიკების ფარგლებში და დიდი ხნით გასთიშეს და ამით შეასუსტეს ამიერ-კავკასიის მთლიანი მუშათა კლასი. ქართველი მენშევიკების მთელი შემდგომი პოლიტიკა, გერმანელების მოწვევა საქართველოში, კიეველ პატრიოტების მსგავსად, ისე როგორც შემდეგში მათი ლაქიურ-გამცემლური როლი ანტანტის მიმართ, და აქედან გამომდინარე კავშირი რუსეთის ყველა კონტრ რევოლიუციონურ ძალებთან,—პირდაპირი შედეგი იყო იმ პოზიციისა, რომელიც ქართველმა სოციალ-მოღალატეებმა დაიჭირეს ყველა როდისმე მომხდარ რევოლიუციებიდან უდიდეს, ჩვენი ოქტომბრის რევოლიუციის მიმართ.

ი. შაფირი.

ცოტა-რამ ოქტომბრის რევოლიუციაზე

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მიზანია კაპიტალიზმის დამხობა და კომუნიზმის განხორციელება. მოსპობა მონობის, ათას გვარი ჩაგვრა-შევიწროებების, ყვლეფა-წვალების და დამყარება შრომის მეუფების, თანასწორობის, ძმობის, თავისუფლების, სიყვარულის და ბედნიერების მთელი დედამიწის ზურგზე,—ასეთი რამ არასოდეს არ დაუსახავს მიზნათ მრავალტანჯულ კაცობრიობას, იგი ოდნავ თუ ოცნებობდა მსგავს რამეზე.

ამ საკაცობრიო იდეალის მებაირახტრობა იკისრა ოქტომბრის რევოლიუციამ, რუსეთის პროლეტარიატმა და მისმა ღირსეულმა ბელადმა რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ.

ოქტომბრის რევოლიუციის მიერ წამოყენებული საქმე თანამედროვე ისტორიული ეპოქის უდიდესი პრობლემა—ამოცანაა. მთელი ქვეყნის ფილისტერებს და ცრუ სოციალისტებს მენშევიკების მეთაურობით ოქტომბრის რევოლიუცია უტოპია, ცრუ ოცნება, ავანტიურა და ზღაპარი ეგონათ. შარა ოთხი წლის გაალმასებულმა, ულმობელმა და თავგანწირულმა სამოქალაქო ომმა სრულიად ნათელ-ჰყო: ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის ძლევამოსილებამ საფუძვლით გაამართლა ბოლშევიკების პოლიტიკური პროგნოზი, რომელიც წინ მიუძღოდა ოქტომბრის გადატრიალებას. ოქტომბრის რევოლიუცია გამარჯვებული გამოვიდა სისხლიან ფრონტებზე. მის წინაშე თავზარდაცემული და შერცხვენილი შედრკა და [illegible] ყველა მხრიდან მოზღვავებული უამრავი მტერი. ეს მტერია მსოფლიო იმპერიალიზმი და მის კუდში მოჩანჩალე—მსოფლიო მეშჩანობა-მენშევიზმი.

ოქტომბრის რევოლიუციას ამაგრებს და უძლეველ ჰქმნის კომუნიზმი შიგნით და კომუნიზმი გარეთ. მას სასიკვდილო-სასიცოცხლოთ ებრძოდა და ებრძვის კონტრ-რევოლიუცია—შიგნით და იმპერიალიზმი—გარედან. კომუნიზმი შიგნით წარმოადგენს უკვე ოთხი წლის გაბატონებულ ძალას, რომელიც თანდათან იზრდება და ძლიერდება. ამავე დროს იმპერიალიზმი გარეთ წარმოადგენს ძალას, გაბატონებულ სოციალურ ძალას, რომელიც ჟამთა მსვლელობაში თანდათან სუსტდება და უახლოვდება თავის დაღუპვის, სამუდამოთ დასამარების დღეს, ვინაიდან იგი, როგორც დრომოჭმული ისტორიული ფორმაცია, სამუდამოთ განწირულია ამავე ისტორიის მიერ. მსოფლიო კომუნიზმი-კი, კომუნიზმი გარეთ წარმოადგენს სოციალურ ძალას, რომლის მოსპობას ლამობს გაბატონებული იმპერიალიზმი, მაგრამ ამაოდ, ვინაიდან ეს ძალა არის ძალა ამომავალის, რომელიც თანდათან იზრდება, მიუხედავათ დრაკონიული დევნის და უსაზღვრო ტირანისა. გამარჯვებული კომუნიზმი წითელი რუსეთის და ტანჯული ევროპის, მაგრამ შეუპოვრათ მებრძოლი კომუნიზმი კაპიტალისტურ იმპერიალისტური ქვეყნებისა—აი ორი უდიდესი დასაყრდენი ძალა ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლიუციისა.

რა მოგვცა ოქტომბრის რევოლიუციამ ამ ოთხი წლის განმავლობაში?

ოქტომბრის რევოლიუციამ ერთი მაგარი დაკვრით მოსპო მონარქია, დაამხო მიწათ მფლობელთა კლასი და მიწა გადასცა ღარიბ გლეხკაცობას. ოქტომბრის რევოლიუციამ მეორე დარტყმით დაამხო ბურჟუაზია და შრომა განანთავისუფლა.

ოქტომბრის რევოლიუციამ შესწყვიტა იმპერიალისტური ომი ერთ უზარმაზარ ფრონტზე (რუსეთ-გერმანია)—ყოველ შემთხვევაში და საზოგადოთ—იმპერიალისტური ომების (კიდევ უფრო საშინელების, ვიდრე გასული) განმეორება საბოლოოთ გახადა მსოფლიო იმპერიალიზმისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციამ შექმნა უძლეველი კომუნისტური ლაშქარი, რომლის მსგავსი სამხედრო ძალა არა ყავს საერთაშორისო იმპერიალიზმს და რომლის დამახასიათებელი თვისებებია: რკინის დისციპლინა, კლასიური ენთუზიაზმი და სიძლიერე, შეურყეველი ნებისყოფა და თავგანწირულობა, თავისი დიდი ისტორიული მოწოდების შეგნება—გათვალისწინება.

ოქტომბრის რევოლიუციამ შესძლო პროლეტარიატის და ღარიბთ გლეხობის, ამ ორი ისტორიულად და სოციალურად სხვა და სხვა ტენდენციის მატარებელ კლასთა გარკვეულ მომენტში ერთ პოლიტიკურ-სტრატეგიულ ძალად შედუღება, ერთ გიგანტიურ ბანაკათ გამოკვეთა, ჩამოსხმა, ჩამოყალიბება, რომლის სულის ჩამდგმელი და მეთაურია პროლეტარიატი.

ოქტომბრის რევოლიუციამ შესძლო შრომის პრინციპის გამეფება ცხოვრების ყოველ დარგში, ყოველ სფეროში, რომლის მოკლე და მკაფიო გამოხატულება—ფორმულაა: „ვინც არ შრომობს, ვერ ჭამს“.

ოქტომბრის რევოლიუციის დროშაზე სწერია: შრომის ნაყოფიერების და საწარმოო ძალთა უმწვერვალესად განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ეს აუცილებელი პირობა კომუნიზმის და ამავე დროს პროლეტარიატის განვითარება როგორც უდრეკელ მშრომელი და ამომავალი კლასის, მისი შენახვა, დაცვა და დაწინაურება ყოველმხრივ—ფიზიკურად, ინტელექტუალურად, მორალურად.

ოქტომბრის რევოლიუციამ შესძლო უზარმაზარი იმპერიის თითქმის სრულიად ერთ საბჭოთა რესპუბლიკათ ან და—საბჭოთა რესპუბლიკების ერთ განუყრელ ფედერაციათ გადაქცევა.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოგვცა შესანიშნავი საბჭოთა კონსტიტუცია, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის და შრომის მეუფების ძირითადი კანონები, კოდექსი.

ოქტომბრის რევოლიუციის ძლევამოსილ სრბოლაში გაიზარდა და გაიკვეთა რუსეთის კომუნისტური პარტია, რომლის რევოლიუციონური ენთუზიაზმი და ცეცხლოვანი ფანატიზმი, კომუნისტური სხივოსნობა და გაუტეხელი დარაზმულობა, მოლოდინში დისციპლინა და ზღაპრული სიმტკიცე, ბოლშევიკური „სალი კლდეობა“ („твердокаменность“) და მძლეთა-მძლეობა, სამაგალითოდ და თითით საჩვენებლად, იმედათ და სასოებათ გახდა (დიდებით მოცულ გამარჯვებულ წითელ არმიასთან ერთად) მთელი ქვეყნის ტანჯულთა და მაშვრალთათვის, ღარიბთა ქოხებისათვის და ლახვრათ და ცის რისხვათ—მდიდართა სასახლეთათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის და კომუნისტური რუსეთის პირმშო შვილია მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი,—ეს მსოფლიო რევოლიუციის ჯენერალური შტაბი, ბელადი და სარდალი, ეს გიგანტიური ფოკუსი მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონური ენერგიის და აღშფოთებულ აჯანყებული სულისა, რომლის პირველ დაძახებაზე (პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალთან ერთად) მსოფლიო პროლეტარიატი გადამწყვეტ შეტევაზე გადავა.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოგვცა საბოლოოთ ჩამოყალიბებული საბჭოთა სისტემა და სალი კლდესავით მტკიცე და მაგარი პროლეტარიატის დიქტატურა,—ეს უტყუარი იმედი, ბურჯი და გარანტია მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისა.

აი მოკლეთ მონაპოვარნი ოქტომბრის რევოლიუციისა. ეს მონაპოვარნი დაუფასებელი განძია არა მხოლოდ წითელი რუსეთისათვის, არამედ უმთავრესად და ყოვლად უწინარეს—მთელი დაჩაგრული კაცობრიობისათვის. ამ განძისათვის იბრძოდა, იბრძვის, გამოუთქმელად იტანჯებოდა და იტანჯება წითელი რუსეთი, ოქტომბრის რუსეთი, ამ განძისათვის დაეცა სამოქალაქო ბრძოლის ველზე 200.000 (ორასი ათასი) ძველი კომუნისტური გვარდია, ამ განძს შეინახავს და დაიცავს წითელი რუსეთი იმ სანატრელ მომენტამდე, როცა იფეთქებს მსოფლიო კომუნისტური რევოლიუცია, რომელიც ალაგავს პირისაგან ქვეყნისა მთელი ქვეყნის მონათმფლობელებს, მყვლეფელებს, ჩამგვრელებს, ტირანებს და დაამყარებს კომუნიზმს, ამ ზოგადსაკაცობრიო მწვერვალს, კულმინაციურ პუნქტს ადამიანთა ბედნიერებისა, შესაძლო ზღვარს ჩვენ პლანეტაზე.

ამ დიადი იდეალისათვის ღირს შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლა. და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი პროლეტარი ქართველ ღარიბ გლეხთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებულნი შეუპოვარი და თავგანწირული ბრძოლით დაუმტკიცებენ საბჭოთა რუსეთის მრავალტანჯულ მშრომელ ხალხს, რომ ღირსნი არიან მათთან წითელი ძმობის.

დღეს შესრულდა ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წელი, მაშ გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას!

თავის მარია.

საქართველო

განთიადისას, რომ გიხილე ლტოლვილი სულით,
სიცოცხლის ფერი როდი ეტყო შენ ზურმუხტ ველებს;
ზამთრის ქარიშხალს ეხვეოდი ძაძა მოსხმული,
სევდის ბინდში გახვეული ისრესდი ხელებს...

ტანჯვა, წუხილი შეგჩვეოდა გულის საკლავი,
წარსულის გესლსა შეეპყარი და მოეზხამე,
იმედის სხივებს ვერ აფრქვევდა ძლევის ვარსკვლავი,—
და ცეცხლის რწმენას ჩახვევდა შავ ბნელი ღამე!

გულს გიწყლულებდა მკვნესარე ხმით ჭოტი შავ ღამის,
როდი ამჩნევდი ტანჯვის ზღუდეს ისე აგიგო,
ჭირი, ვარამი, მწარე დღენი ყოველი წამის—
სულს გიშფოთებდა და წამალი კი ვერ გაგიგო...

და ჰა, დადგა დრო, ნორჩი გულის თქმაც აგისრულდა,
ჭოტის ხმაც შეწყდა, გადიკარგა დუხჭირი დღენი,
შავ სამარეში მიჰხრიალებს ვინც გულით გძულდა,
ვერ შეგაკავებს მკვირცხლ რაშზე მჯდომს კლდენი და ღრენი.

შენი მერანი—ჩვენი შრომის მტკიცე ხელია;
შენი სახელი—თავგანწირულ ხალხისთვის ბრძოლა,
ვინ შეგეხება სანამ გული მტკიცე, მთელია,
ჩვენს ცეცხლის რაზმებს არ სჩვევია შიში და ძრწოლა.

წითელ სამოსში სახე შენი არის მშვენება,
ბრძოლის ხალისსა შეეთვისა მთები და მდელო,
ვერას დაგაკლებს მტარვალთ წყევა და შეჩვენება...
შენ დღეს მტკიცე ხარ... ალავერდი მაშ საქართველო!..

იონა ვაკელი.

ულის კაპიტალისტურ ადგილზე. ამ მეტად მნიშვნელოვან და მეტად ძნელ საქმეში ჩვენ ვიგემეთ ყველაზე მეტი დამარცხება, ყველაზე მეტი შეცდომები. განა შეიძლებოდა დაუმარცხებლად და შეუცდომლად დაწყება ასეთი ახალი მსოფლიო საქმის! მაგრამ ჩვენ ის დავიწყეთ. ჩვენ მას გაუძღვებით. ჩვენ სწორედ ეხლა ვასწორებთ ჩვენი „ახალი ეკონომიური პოლიტიკით“. ჩვენი შეცდომების მთელ რიგს ჩვენ ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა ვაშენოთ შემდეგში შეუცდომლად წვრილ-გლეხურ ქვეყანაში სოციალისტური შენობა.

სიძნელე და დაბრკოლებები განუზომელია. ჩვენ მივეჩვიეთ განუზომელ სიძნელესთან ბრძოლას. ჩვენთვის ტყვილა არ დაურქმევია ჩვენ მტრებს „პიტალო კლდის“ პოლიტიკოსები. მაგრამ ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე —ყოველ შემთხვევაში—რამოდენიმედ მაინც შევისწავლეთ სხვა, რევოლიუციისათვის აუცილებელი ხერხი—მოქნილობა, ჩქარა და უცბად ტაქტიკის შეცვლა, შეცვლილი ობიექტიური პირობების დროზე გათვალისწინება, გზის გამოცვლა ჩვენი მიზნის მისაღწევად, თუ კი ძველი გზა აღმოჩნდა ამ დროის პერიოდში მიზან შეუწონელი და შეუძლებელი.

ენტუზიაზმით გატაცებული, ჩვენ იმედს ვამყარებდით, ჯერ ხალხის საერთო პოლიტიკური შემდეგ სამხედრო ენტუზიაზმის გამოღვიძებაზე, ჩვენ იმედს ვამყარებდით გაგვეხორციელებინა უშუალოთ ამ ენტუზიაზმით სწორეთ ასეთივე დიდი (როგორც საერთო პოლიტიკური და სამხედრო) ეკონომიური ამოცანები. ჩვენ იმედს ვამყარებდით—, ან უფრო უკეთ რომ ვთქვათ: ჩვენ ვფიქრობდით ნაკლები გათვალისწინებით პროლეტარულ სახელმწიფოს უშუალო ბრძანებით სახელმწიფოებრივი წარმოების მოწესრიგებას და წვრილ გლეხურ მხარეში კომუნისტურათ პროდუქტების სახელმწიფოს მიერ განაწილება. ცხოვრებამ დაგვანახა ჩვენი შეცდომები. საჭირო შეიქნა გარდამავალ საფეხურების მთელი რიგი: სახელმწიფო კაპიტალიზმი და სოციალიზმი, რომ მოგვემზადებია მრავალი წლის მუშაობით, კომუნიზმში გადასვლა. უშუალო ენტუზიაზმზე კი არა, არამედ ენტუზიაზმის დახმარებით, ენტუზიაზმის, რომელიც წარმოშვა დიდმა რევოლიუციამ; პირად ინტერესზე, პირადი დაინტერესებით, მეპატრონის ანგარიშიანობაზე, გაისარჯეთ პირველ ხანში, გადევით მტკიცე ხიდები, რომელიც აერთებს მათ წვრილ გლეხურ მხარესთან სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის გზით სოციალიზმისაკენ; სხვა გზით თქვენ ვერ მიხვალთ და ვერ მიიყვანთ ათეულ და ასეულ ხალხს კომუნიზმთან. ასე გვკარნახა ცხოვრებამ. ასე გვიკარნახა ჩვენ რევოლიუციის განვითარების ობიექტიურმა მსვლელობამ.

და ჩვენ ვისწავლეთ მოულოდნელათ გზის შეცვლა (როდისაც საჭირო მოულოდნელათ შეცვლა), დავიწყეთ გამოდგენით, ყურადღებით მუყაითად (თუმცა ჯერ კიდევ ნაკლები გამოცდილებით, ნაკლები ყურადღებით, ნაკლები მუყაითობით) შესწავლა გადახვევის, „ახალი ეკონომიური პოლიტიკის“. პროლეტარულმა სახელმწიფომ უნდა შეიქნეს ფრთხილი, მცოდნე „მეპატრონე“, ზედმიწევნით მოვაჭრე,—წინააღმდეგ შემთხვევაში ის წვრილ გლეხურ ქვეყანას ეკონომიურათ ფეხზე ვერ წამოაყენებს. სხვა გადასავალი ეხლა კომუნიზმში, თანამედროვე პირობებში, კაპიტალისტურ (ჯერ კიდევ კაპიტალისტურ) დასავლეთ ევროპის გვერდით არ არსებობს. ვაჭარი? ვაჭარი—ეს თითქო ეკონომიური ტიპია, მაგრამ როგორც ცა დედამიწისაგან დაშორებულია კომუნიზმს. მაგრამ ეს სწორეთ ერთი იმ წინააღმდეგობათაგანია, რომელსაც ნამდვილ ცხოვრებაში მიყავს წვრილი გლეხურ მეურნეობიდან სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით სოციალიზმისაკენ: პირადი დაინტერესება აღორძინებს წარმოებას. ჩვენ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ყოველფერზე უფრო გვჭირდება წარმოების გაფართოვება. ბითუმი ვაჭრობა აერთიანებს ეკონომიურათ მილიონ წვრილ გლეხობას, აინტერესებს მათ, აკავშირებს და მიყავს შემდეგი საფეხურისაკენ: სხვა და სხვა სახის კავშირისა და გაერთიანებისაკენ თვით წარმოებაში. ჩვენ უკვე დავიწყეთ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ხელ ახალი საჭირო გადასინჯვა. ჩვენ უკვე მივაღწიეთ ამ სფეროში, მართალია უმნიშვნელო, კერძო ხასიათის, მაგრამ მაინც ზოგიერთ წარმატებას. ჩვენ უკვე ვასრულებთ ახალ „მეცნიერების“—ამ სფეროში მოსამზადებელ კლასს. მტკიცეთ და გულმოდგინეთ ვისწავლით, პრაქტიკულ ცდით გავსინჯეთ თვითეული ნაბიჯი, ნუ შეგვეშინდება მრავალჯერ დაწყებულ გადაკეთებებს, შევასწორებთ ჩვენი შეცდომების მნიშვნელობის გულმოდგინედ ჩაკვირვებით და ჩვენ გადავალთ შემდეგ კლასებში. ჩვენ დავავლით მთელ „კურსს“, თუმცა მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკის პირობებმა ის უფრო ხანგრძლივი და უფრო ნელი გახადა, ვიდრე ეს ჩვენ გვინდოდა. როგორც არ უნდა იქნეს, რამდენათ მძიმე არ უნდა იქნეს გარდამავალ დროის ტანჯვა-წამება, უბედურება, შიმშილი, ხვრეჩა ჩვენ არ დავეცემით სულით და ჩვენ საქმეს საბოლოო გამარჯვებით დავაგვირგვინებთ. („პრავდა“)

ნ. ლენინი.

14 ოქტომბერი 1921წ.

ოქტომბრის რევოლიუცია

(მეოთხე წლის თავი)

შესრულდა მეოთხე წლისთავი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ რაც რუსეთში პროლეტარიატმა ჩამოაგდო ტახტიდან ბურჟუაზია და მემამულეები და თითონ ჩაიგდო ხელში მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება. ოქტომბრის რევოლიუციიდან დაიწყო სრულიად ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში. გასაკვირველი არ არის, რომ ამ რევოლიუციისაკენ იყო და არის მიმართული მსოფლიოს ყურადღება: მასზე სწერენ და მსჯელობენ განუწყვეტლივ. და ეს თემა არასოდეს არ დაძველდება.

რა მოხდა ამ ოთხი წლის წინეთ? გამოწვეული იყო ეს ცვლილება ვისიმე სურვილით, ან ეს ისტორიულათ იყო აუცილებელი? გაამართლა თუ არა ოქტომბრის რევოლიუციამ მუშა ხალხის იმედები და სურვილები! რა მოუტანა, რა შესძინა მშრომელ მასას ოქტომბრის რევოლიუციამ? ღირდა თუ არა ამოდენა ტანჯვა, ამოდენა სისხლი, ამოდენა მსხვერპლი, რომელიც რუსეთის ხალხმა გაიღო ამ რევოლიუციის დასაცავათ და შესანარჩუნებლათ?—აი კითხვები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს აღძრავს, როცა კი ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციაზე დავიწყებთ ფიქრს. ყველაზე უფრო ბუნებრივია ასეთი ფიქრი სწორედ დღეს, მეოთხე წლის თავზე.

და ჩვენც, ვუწევთ რა ანგარიშს ამ გარემოებას, შევეცდებით, რამდენათაც კი ეს შესაძლებელია მოკლე საგაზეთო წერილში, თვალი გადავავლოთ ოქტომბრის რევოლიუციას, როგორც მის მოსამზადებელ ხანას, ისე იმ ხანას, რომელიც იწყება ოქტომბრის გადატრიალების დღიდან.

საიდან გაჩნდა, ან როგორ მოევლინა ქვეყანას ოქტომბრის რევოლიუცია? შეიძლება ის სრულიად შემთხვევითი მოვლენა იყო, ან ვისიმე ბოროტი განზრახვით ნამოქმედარი? უწინარეს ყოვლისა მის გასაგებათ ჩვენ უნდა მივმართოთ დროებითი მთავრობის, პირველად ბურჟუაზიულის და შემდგომ კოალიციურის, ისტორიას, მის მოვლინებას. მაგრამ ამას მივყავართ ჩვენ პირდაპირ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამდე, რომელსაც ქონდა თავისი ისტორიული, სოციალური ანუ უკეთ რომ ვთქვათ ეკონომიური მიზეზები. მართალია, თებერვლის რევოლიუციამ რუსეთში იფეთქა იმპერიალისტური ომის ცეცხლში, და ამიტომ მისი პირდაპირი მიზეზები ამ ომში უნდა ვეძიოთ, მაგრამ თებერვლის რევოლიუცია კიდევ უფრო ღრმად და კიდევ უფრო მჭიდროთ დაკავშირებულია ერთი მხრით 1904 5 წლების რევოლიუციასთან და მეორე მხრით იმ რეაქციონურ ვაკხანალიასთან, რომელიც რუსეთში დატრიალდა პირველი რევოლიუციის დამარცხების შემდეგ. 1904 5 წლების რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, მისი გამომწვევი მიზეზები არ მოსპობილა, არ გამქრალა, პირიქით, შინაური კრიზისი, შინაური მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა, და 1914 წლის ზაფხულში და ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტური ომის გამოცხადების წინ რუსეთის იმპერია ახალი რევოლიუციონური აფეთქების წინაშე იდგა. პეტერბურგში, ბაქოში და სხვაგან მუშები უკვე ბარიკადებს აშენებდნენ: მხოლოდ ომის გამოცხადებამ შეაჩერა მაშინ ეს აფეთქება.

ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ომის გაჩაღება 1914 წელს ევროპაში ნიშნავდა თავის თავათ კაპიტალისტური ბურჟუაზიის, ე. ი. მსოფლიო მყვლეფელების და მჩაგვრელების თავდასხმას მუშათა კლასზე და განსაკუთრებით სოციალისტურ პროლეტარიატზე. ის სინამდვილე შეიქნა. მსოფლიო მძარცველებმა თავისთვის კარგი დრო შეარჩიეს. ევროპის სახელმწიფოების მუშათა კლასებმა მეორე ინტერნაციონალის მოღალატე და გამცემელ ხელმძღვანელების მიერ დატყუებულებმა კი, თავთავიანთ ქვეყნის კაპიტალისტური ბურჟუაზიის მიერ დაგებულ მახეში მოექცნენ და იმის მაგიერ, რომ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის დროშა, აეფრიალებინათ თავის საკუთარ მჩაგვრელებისა და მძარცველების წინააღმდეგ, მიჰყვეს ხელი ურთიერთ გაჟლეტას და ამოწყვეტას ბურჟუაზიის და მემამულეების გასახარებლად. მსოფლიო საშინელი იმპერიალისტური ომის სახით თანდათან გაიზარდა და გარკვეულდა, და მასთან ამოჩნდა, რომ ევროპაში და ამერიკაში, მიუხედავათ კაპიტალიზმის უმაღლეს წერტილამდე განვითარებისა, მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა არა თუ სუსტი გამოდგა, არამედ ის სრულებით მიმქრალიყო. ამისი მთავარი მიზეზი იდებოდა, რა თქმა უნდა, ევროპის და ამერიკის სოციალისტურ პარტიებს, რომლებიც მხოლოდ სიტყვით იყვნენ სოციალისტური, საქმით კი ისინი ბურჟუაზიის მაჩანჩალების, ანუ ლაქიების როლს ასრულებდნენ. მეორე მხრით, ბურჟუაზიას იქ შეექმნა უკვე მეტად ძლიერი და მაგარი ორგანიზაციები, რომელთა საშუალებით მას უკვე შეეტანა მუშათა წრეებში, განსაკუთრებით ეგრედ წოდებულ მუშათა არისტოკრატიაში, ერთნაირი გახრწნა და გათახსირება.

სრულებით სხვა მდგომარეობა იყო შექმნილი რუსეთში. მართალია, ეს ქვეყანა როგორც კულტურის, ისე მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარების მხრით ევროპა-ამერიკის ქვეყნებთან შედარებით მეტათ ჩამორჩენილი იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა სწორედ აქ იქნა დაგროვებული აუარებელი ასაფეთქებელი მასალა პროლეტარული და გლეხური რევოლიუციის მოსახდენათ. თუ მართალია ის დებულება, რომ ზოგჯერ მოწაფე ჯობნის მასწავლებელსო,—ეს მოხდა სწორედ რუსეთში. რუსეთმა შეისწავლა და გადმოიღო დასავლეთ ევროპიდან არა მარტო თეორია პროლეტარული რევოლიუციისა, არა მარტო თეორია მეცნიერული სოციალიზმისა, არამედ, რაც უფრო საინტერესოა, მან შეითვისა პარიჟის 1848 და 1871 წლების რევოლიუციების მთელი გამოცდილება და გაკვეთილი. ეს გამოცდილება და გაკვეთილი მდგომარეობდა იმაში, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება ბურჟუაზიის მონობისაგან შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა კლასი შეიარაღებულ აჯანყებას ანუ სამოქალაქო ომში დაამარცხებს ბურჟუაზიას. მაგრამ ამით არ იფარგლებოდა ამ გამოცდილების მთელი მნიშვნელობა. აქ იყო კიდევ მეორე უფრო სერიოზული მხარე. საქმე ისაა, რომ 1848 წლის შემდეგ და განსაკუთრებით პარიჟის 1871 წლის კომუნის შემდეგ ბურჟუაზიული რევოლიუცია საერთოთ შეუძლებელი შეიქნა, ე. ი. ამ თარიღით ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანა დამთავრდა, და დაიწყო პროლეტარულ რევოლიუციათა ხანა. სამწუხაროთ, ეს უკანასკნელი გაკვეთილი თითქმის სავსებით დავიწყებულ იქნა ყველა სოციალისტურ პარტიების მიერ, რომლებიც საერთოთ უარყოფდნენ ყოველგვარ რევოლიუციას, ანუ ძალდატანებით ცვლილებას და ქადაგებდენ მშვიდობიანი განვითარების გზით სოციალიზმის მიღწევას. ამ მიმართულებას ეწოდება რეფორმიზმი და ოპორტუნიზმი. ეგრეთ წოდებული წარმომადგენლობითი ანუ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის მეოხებით რეფორმიზმმა ძირი გაიმაგრა დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიებში, რომლების მეთაურები მოსყიდულნი შეიქმნენ კაპიტალისტური ბურჟუაზიის მიერ ან დიდი ჯამაგირებით ან კიდევ პარლამენტში არჩევით. სამწუხაროთ თუ საბედნიეროთ რუსეთში იყო ასეთი პირობები. აქ არ იყო მაგარი მიზეზი რეფორმიზმისა,—ე. ი. ბურჟუაზიული პარლამენტი,*) რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო საკმარისათ განვითარებული ბურჟუაზიული კლასი, აქ ჯერ კიდევ არ იყო საკმარისათ გამაგრებული ბურჟუაზია. სამაგიეროთ მუშათა კლასი და მისი პარტია, რომელსაც პირველ ხანებში სოციალ-დემოკრატია ერქვა, აქ პირდაპირ დევის ნაბიჯით გაიზრდებოდა და მიდიოდა წინ. მართალია, თვით მუშათა კლასში და სოციალ-დემოკრატიაში გაჩნდა აქაც რეფორმისტული ანუ ოპორტუნისტული მიმართულება ანუ მენშევიზმი, რომელიც ყოველნაირათ აბრკოლებდა და უკან ეწეოდა მუშათა კლასის ყოველივე რევოლიუციონურ მოძრაობას და რომელიც ცდილობდა მუშათა მოძრაობა ლეგალურ კალაპოტში მოექცია. მაგრამ ეს მიმართულება, მიუხედავათ იმისა, რომ მას მრავალი მიმდევარი ყავდა, უმეტეს ნაწილათ ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში, სასტიკათ დამარცხდა.

მუშათა კლასის მოძრაობა რუსეთში თავიდანვე სწორი გზით წავიდა; ამ მოძრაობაში უმთავრეს როლს თამაშობდა სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთა, რომელიც ბოლშევიზმის სახელით იქმნა მონათლული. ბოლშევიზმმა სავსებით შეითვისა რევოლიუციონური მარქსიზმი, ის შერჩა ერთგული პირველი ინტერნაციონალის იდეებს, ის თავიდანვე დაადგა მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობას ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებას.

მასსიური რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთის პროლეტარიატში იწყება მეოცე საუკუნის პირველ წლებში. ამ მოძრაობას თავიდანვე ხელმძღვანელობდა, როგორც ვთქვით, სოციალ-დემოკრატია, რომელშიაც 1903 წლიდან იჩინა თავი ორმა შეურიგებელმა მიმართულებამ: ერთი მხრით რეფორმისტულმა ანუ ოპორტუნისტულმა ე. ი. მენშევიზმმა, მეორე მხრით რევოლიუციონურ-მარქსისტულმა, ე. ი. ბოლშევიზმმა. ეს ორი მიმართულება თანდათან, პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების თანავე შორდება ერთმანეთს. ჩვენ ვიცით, რომ უკვე 1904—6 წლებში, პირველი რევოლიუციის დროს, მენშევიზმი და ბოლშევიზმი გამოდიან თითოეული თავისი განსხვავებული და თავისი საკუთარი ტაქტიკით და ლოზუნგებით. საქმე იმაში იყო, რომ პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას დასაწყისშივე აღუდგა წინ ლიბერალური ბურჟუაზია, რომელსაც პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა უნდოდა გამოეყენებია თავისი საკუთარი კლასიური მიზნებისათვის. ეს იყო ორივე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის (ბოლშევიზმის და მენშევიზმის) გამოცდა არა მარტო მუშათა კლასის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ერთგულებაში, არამედ მათ რევოლიუციონერობაშიაც. როგორც ვიცით, მენშევიკები მაშინვე აყვენ ლიბერალური ბურჟუაზიის (სტრუვე, მილიუკოვი, ტრუბეცკოი და სხვ.) ფეხის ხმას და მსგავსად დასავლეთ ევროპის რეფორმისტებისა, მოითხოვდნენ მუშათა კლასის დაქვემდებარება მის მყვლეფელებისათვის. ბოლშევიკებმა უარყვეს ჯერ კიდევ პირველი რევოლიუციის ხანაში ბურჟუაზიასთან კავშირი და სამაგიეროთ გამოიმუშავეს ლოზუნგები უღარიბესი გლეხკაცობის რევოლიუციონურ მოძრაობისადმი მისამხრობათ. სინამდვილემ ჩქარა გამოაშკარავა, თუ რომელი ტაქტიკა იყო სწორი და მართალი მუშათა კლასის ინტერესების დასაცავათ. ჯერ კიდევ 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში საკმარისი იყო ლიბერალურ ბურჟუაზიას და მის დამქაშებს ეგემათ რევოლიუციის პირველი სუსხი და მუშათა კლასის მოთხოვნები, რომ მ.მ. მილიუკოვებს, მესსენებს, ტრუბეცკოებს და სხვებს მაშინათვე ზურგი შეექციათ რევოლიუციისათვის და აშკარა შავ რეაქციონურ ბანაკში ამოეყოთ თავი. იმავე დროს ღარიბი გლეხობის მიმხრობა რევოლიუციისადმი, მისი დაინტერესება პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის სულ უფრო და უფრო მეტ ნიადაგს პოულობდა.

უნდა ითქვას, რომ მენშევიზმი, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგია, საბოლოოთ გაკოტრდა ჯერ კიდევ იმ შავი რეაქციის ხანაში, რომელიც დადგა პირველი რევოლიუციის დამარცხების შემდეგ და რომელმაც გასტანა მეორე რევოლიუციის აფეთქებამდე (1907—1917 წ.წ.)

---

*) ხელმწიფო დუმა პარლამენტს მხოლოდ ჩამოგავდა და ისიც მხოლოდ უკანასკნელ წლებში არსებობდა.

192 წლის 7 ნოემბერი

დროთა გრეხილის დაჟანგულ ჯაჭვზე,
ნიშნად ახალი ყოფნის და ბრძოლის,
მომდევნოთ რიგზე უკანასკნელად
წყება სჩანს ოთხი წითელი რგოლის:

ეს ოთხი რგოლი ოთხი წელია,
ოთხ საუკუნის დონი და მსგავსი,
რომელთაც, ბრძოლის ცეცხლში გაწრთობილთ,
აწ ვერ დაეკვრის ჟანგი და ხავსი...

კაცობრიობის ისტორიაში
მათით იწყება ახალი ხანა
და აღთქმის ქვეყნის გასაბრწყინვებლათ
ახალმა მზემაც ამოატანა!..

არსობის ჯაჭვიც ორად გაშუქდა:
უსაზღვრო მის წილს ზედ აკრავს ჟანგი
და ის უკიდო ჰგდია უძრავათ,
მოდებული აქვს სიკვდილის ბანგი.

უკანასკნელი ოთხი რგოლი-ღა
მაზედ მოძრაობს და წითლად ელავს,
მათგან ტანსხმული წითელი შუქი
მთელ მსოფლიოში ზღვასავით ღელავს.

სადაც კი მისწვდა ამ ზღვის ტალღები,
ცისკრის ბურუსი თანდათან ჰქრება,
და ირგვლივ მომდგარ კუნაპეტ ღამეს
წითელის წარღვნით ის ემუქრება!..

ჩაქუჩ მომართულ წითელ გოლიათს
ხელში უპყრია ელვარე რკინა,
მაგრამ შრომაში გადაჰკრა ღიმმა,
და იცით, ამ წუთს რად გაეცინა?!.

ოთხი რგოლი ხომ ააგო ჯაჭვზე,
აწ მეხუთეზე დაფიქრდა იგი,
და დაუხატა ლაღ ოცნებამ
ახალ რგოლების ახალი რიგი!..

და უნებლიეთ გმირულს თვალებში
მას აღტაცების გაუკრთა ცრემლი...
ელვარე რკინას დაეცა ურო...
შემოქმედების აჟღერდა გრდემლი!..,

ნ. ზომლეთელი.

ორი ქვეყნის ჭიდილში

(ნაწყვეტი)

ატმოსფერა საშინლად დამძიმებულიყო.

ღონე მიხდილს, დავრდომილს, ტკივილებისა და მწუხარების შემყრელ ძველ ქვეყანას წინ აღმართოდა სიცოცხლით სავსე, მალხაზი, ნეტარების მომცემი ახალი ქვეყნის წითელი აზრდილი და მრისხანედ, დამცინებით ჩასძახოდა: „შენ მოსჭამე დრო, შენ დასნეულდი, შენ დღეს მეტი ბარგი გახდი და უნდა მოკვდე, წახვიდე... შენი შემქნელის გულ-სულში უკვე დიდი ხნიდან ჩასახული მე დღეს მოვმწიფდი, ვიბადები ეხლა და მოვდივარ შენ მიერ დაცლილ ადგილის დასაჭერად. შენი სიკვდილი და ჩემი დაბადება გადაულახველი რკინის კანონებით არის ერთმანეთთან შეკავშირებული—მას წინ ვერავინ ვერ აღუდგება.

„... ხა ხა-ხა-ხა, რა კარგი ოცნებაა! რა ტკბილი იმედია! ვინ სთქვა, რომ მე დავსნეულდი, დაავადმყოფდი, სამარის კარს მივუახლოვდი.. მე ჩვეულებრივ ვსცოცხლობ, განვაგრძობ ბატონობას, და ვინც წინ აღმიდგება გავსრის. ყოველივე მათ განზრახვებს, ჩემს წინააღმდეგ მომართულს ყლორტშივე, გაუფურჩქნავად ჩავკლავ; მე არავის არ მივსცემ ნებას მიმწყვიტოს არსებობის დღე, და ჩემი ადგილი აქ სხვამ დაიჭიროს".—სნეულ ძველ ქვეყანას არა სჯეროდა, რომ უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი. მას არ უნდოდა ეწამა, დაენახა მომავალი, უკვე კარზე მომდგარი, თავისი შემცვლელი ახალი ქვეყანა. და წითელი აზრდილის ყოველივე ჩაძახილის ტარტაროზული ხითხითით ხვდებოდა.

ცა, არე-მარე, მიდამოები სისხლის ფერად იღებებოდა.

მუშური რევოლიუციის ტალღები მაგრად ეხეთქებოდა სიკვდილის პირს მიმდგარ ძველი ქვეყნის ზღუდეებს,—წრწოდა, დვრტიხავდა ყოველივე ძველს და გზა ეკაფებოდა ახალს.

„...აღარ ძალმიძს შევინარჩუნო სიცოცხლე, მელევა ღონე,—მიშველეთ!"—ამაოდ ითხოვდა შველას მკაცრ ბრძოლაში დაუძლურებული, მისუსტებული შვილები ძველი ქვეყნისა.

„...მხნედ ძმანო! არ მივსცეთ შესასვენებელი წუთები მტრებს, წინ"!

დაბადების პროცესში მყოფი ახალი ქვეყნის შვილები ამაყად ეუბნებოდენ ერთმანეთს და განაგრძობდენ გზას შეუჩერებლივ, ახალ-ახალი გამარჯვებისკენ.

—

ჭიდილი ძველსა და ახალი ქვეყნის შორის, მსოფლიოს ერთ თვალსაჩინო შრომის კუნძულზე დასრულდა.

ძველი ქვეყნის ლეში დასაფლავებულია.

მზის ცხოველი სხივებით გამთბარი ახალი ქვეყანა იზრდება, ფართოვდება, ომ დასრულებული, გამარჯვებული შინ, არ სწყვეტს ბრძოლას გარეშეებთან, იკრებს თავის გარშემო მშრომელთა მთელი მსოფლიოს.

მძიმე არის ეს ბრძოლის გზები. იგი მრავალ უმანკო მებრძოლების სისხლით იღებება ხშირად, იგი ბევრ მსხვერპლს იწირავს.

მაგრამ მებრძოლთ, ბრძოლაში გარკინებულთ ეს არ აშინებთ.

ოთხი წელი შესრულდა დღეს ძველის ნანგრევებზე შობილს ამ ახალ ქვეყანას.

მრავალჯერ მოტანილ მტრების იერიშებმა მას ვერაფერი ვერ დააკლეს, პირიქით უფრო მტკიცდება, მაგრდება.

გაივლის თვეები, წელი და მთელი მსოფლიო ეზიარება ამ ახალ ცხოვრებას.

მეც აქეთკენ მიპყრია თვალები, მე მოუთმენლად ველი მას.

ხ. თალაკვაძე.

საბჭ. აღმშენებლობა საქართველოში

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა

(მარტი—ნოემბერი)

ამ წერილში ჩვენ არ შეგვაქვს საანგარიშო მასალა ანუ სტატისტიკური ცნობები და სხვა ციფრები იმის შესახებ, თუ მიწათ-მოქმედების კომისარიატს რა გაუკეთებია ამ ხნის განმავლობაში. ყველა ეს მასალა და ცნობები ცალკე წიგნაკათ იქნებიან გამოქვეყნებული. აქ კი ჩვენ შევეცდებით იმ პირობების აღნუსხვას, რომელშიაც კომისარიატს უხდებოდა მუშაობა ერთი მხრით, და ზოგიერთ უფრო სხვილი ხაზების ჩვენებას კომისარიატის მოღვაწეობაში, მეორე მხრით.

—

საბჭოთა ხელისუფლების დაარსების დღიდან საქართველოში ყველაზე უფრო დიდი და ყველაზე უფრო უმძიმესი საქმე ევალებოდა სწორედ მიწათ მოქმედების უწყებას, ე. ი. მიწათ-მოქმედების კომისარიატს. მას ევალებოდა ერთი მხრით აგრარული რეფორმის დაუყონებლივ შემუშავება და მისი გატარება ცხოვრებაში და მეორე მხრით ჩვენი გავერანებული, ჩამორჩენილი და დაცემული სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და წინ წაწევა. გარდა ამისა მიწათ-მოქმედების კომისარიატის მოვალეობას შეადგენდა იმ ძვირფას და კულტურულ სახალხო მეურნეობათა მოვლა-პატრონობა და ფეხზე დაყენება, რომელთაც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსთვის უდიდესი და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვთ.

მე მგონია დამტკიცება არ უნდა იმას, რომ ასეთი ამოცანის შესასრულებლათ თავდაპირველათ მაინც ჩვენი კომისარიატი მეტათ არახელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა. მენშევიკების მიწათ-მოქმედების სამინისტროში, რომელიც მემკვიდრეობით გადაიქცა საბჭოთა საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატათ, კომუნისტების ჭაჭანება არ იყო. იქ თავი მოეყარათ, თითო-ოროლა სპეცების და პატიოსან უპარტიო მოსამსახურეების გარდა, მენშევიკების აგენტებს, ფლიდ და ავაზაკურ ელემენტებს, რომლებიც თავის თავად იგულისხმება, ახალი წყობილების წინააღმდეგი იქნებოდენ, თუ აშკარათ არა ჩუმათ მაინც. შემდეგ ყოფილი სამინისტროს საქმის წარმოება, საქმეები გაქცეულ მთავრობას თან წაეღო და ქუთაისში იმყოფებოდა. სახელმწიფო, სახალხო მამულები უმეტეს ნაწილათ ჯერ კიდევ საბჭოთა გადატრიალებამდე საქართველოში განადგურების და გავერანების გზაზე იყვენ შემდგარი. თვით ამ გადატრიალების დროს ბევრი იმათგანი გაძარცულ იქნა, ცხენები, იარაღები და სხვა ქონება გაბნეული და დატაცებული თუ ჯარების, თუ შეუგნებელი პირების ან პირდაპირ პროვოკატორების მიერ. ამავე დროს ყანების თესვის დრო კარზე მომდგარიყო, და ხალხში ათასგვარი პროვოკაცია, ცილისწამება და ჭორები ტრიალებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და გლეხებმა არ იცოდენ, რა ექნათ. შექმნილი მდგომარეობა მწვავდებოდა იმ მხრით, რომ გასულ შემოდგომის დროს ბევრი ადგილები დაუთესავი დარჩა, არ იყო არც შესაფერი აპარატი, და არც სახსარი დათესვის კამპანიის საწარმოებლათ. მაგრამ ამ მდგომარეობიდან თავის დახწევა აუცილებლათ საჭირო იყო, რაც გინდ ეს არ უნდა დაგვჯდომოდა.

ამ გვარათ დაუყოვნებლივ საჭირო იყო ზომების მიღება ერთ და იმავე დროს კომისარიატის გასაწმენდათ, სახალხო მამულების ძარცვის და განადგურების შეჩერება და ცნობაში მოყვანა, გაფანტვა ყოველგვარი პროვოკაციის და ჭორების საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ გლეხკაცობა სრულიად დამშვიდებით შესდგომოდა თავის ჩვეულებრივ მშვიდობიან მუშაობას, რაც შეიძლება დაჩქარებით შესდგომა დათესვის კამპანიის მოსაწყობათ და სხვ. და სხვ. ასეთი ზომები მიწათ-მოქმედების კომისარიატმა, რამდენათაც კი ეს შესაძლებელი იყო დაუყონებლივ მიიღო. ჩვენ შევუდექით კომისარიატის გაწმენდას, გამოიცა მოწოდება გლეხკაცობისადმი, დაიგზავნა სახალხო მამულებში კომისარიატის წარმომადგენლები მდგომარეობის გამოსარკვევათ და შესაფერი ზომების მისაღებათ; ამავე დროს მოწყობილ იქნა გაზაფხულის დათესვის კამპანიის ორგანიზაცია მთელ რესპუბლიკაში. რა თქმა უნდა, მთელი ეს საორგანიზაციო და სააღმშენებლო მუშაობა ფერხდებოდა და ძნელდებოდა ერთი მხრით საბჭოთა ხელისუფლებისათვის შესაფერისათ მომზადებულ, გამოცდილ და ერთგულ თანამშრომლების და მუშაკების ნაკლებობით ან სრული უყოლობით, და მეორე მხრით უსახსრობით. მეტათ სამწუხარო და უნუგეშო სურათს წარმოადგენდენ ამ მხრით ჩვენი სახალხო მამულები, ფერმები, სანერგეები სცდელი მინდვრები და რომლებმაც გადატრიალების დროს დაკარგეს ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, სასურსათო მარაგი და სხვ. მაგრამ უნდა სიმართლე ითქვას ყოფილ სამინისტროს ძველ თანამშრომლებში და განსაკუთრებით სპეციალისტებში აღმოჩნდენ პატიოსანი პირები, რომელთაც აინტერესებდათ მხოლოდ საქმე და რომლებმაც ამ მხრით დიდი თითქმის დაუფასებელი სამსახური გაუწიეს კომისარიატს. ისინი თავის ინიციატივით ღებულობდენ საჭირო ზომებს, რომ სახელმწიფო საქმე არ დაზიანებულიყო, და ზოგჯერ ასეთ ზომების მიღების დროს იმათ დიდი უსიამოვნებაც კი ხვდებოდათ. ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ სახალხო მამულები დღეს უკვე საკმარისათ მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული.

კომისარიატის მოღვაწეობას ამ ხნის განმავლობაში ახასიათებს გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარება. სულ მცირე ვადის განმავლობაში თესვის კომისიამ შეძლო 66,000 ფუთზე მეტი სხვა და სხვა სათესლე მასალის შეძენა და მისი დარიგება მთელ რესპუბლიკაში, რის შედეგი იყო ის, რომ თითქმის 78,000 დესეტინა მიწა იქნა საერთოთ ამ კომისიის დახმარებით დათესილი.

სასოფლო მეურნეობის დარგში, მეურნეობის გაუმჯობესობის საქმეში კომისარიატმა გადადგა წინ ახალი ნაბიჯები სარწყავ არხების გაყვანით ძველი არხების შეკეთებით (ყარაიაზში, გურჯაანში და სხვ.), რძის ფერმების მოწყობით, აგრონომიული დახმარების ახალი ორგანიზაციით, სამეურნეო იარაღების მიწვდენით, ცხენების სახელმწიფო ქარხნის აღდგენით; სასოფლო მეურნეობის დარგში შედის კიდევ კულტურული ნაყოფიერება და საბრეშუმო სადგური; თუ რა გაკეთდა ამ ორ დარგში, ამის შესახებ: დაწვრილებით ცნობებს მკითხველი იპოვნის კომისარიატის საიუბილეო გამოცემაში, და აგრეთვე საიუბილეო გამოფენაზედაც.

სასოფლო მეურნეობასთან მჭიდროთ შეკავშირებულია **სავეტერინარო (საექიმო) საქმე** თავისი **საბაქტერიოლოგიო სადგურით** საქონლის ჭირთან საბრძოლველათ, რომელიც სამწუხაროთ, გავრცელებულია ამ ჟამათ ჩვენში. კომისარიატმა ამ დარგშიაც შეძლო რამდენიმე გაუმჯობესობა შეეტანა.

შედარებით ნაკლების გაკეთება შესძლო კომისარიატმა დღემდის ტყის მოვლა-პატრონობის საქმეში. მაგრამ უნდა ვაღიაროთ აქ, რომ ეს საერთო სენია რევოლიუციონურ ხანაში, ე. ი. ტყის შეუბრალებელი გაჩეხა, ამ გაჩეხას თუ არ აქეზებდენ, ხელს აფარებდენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები. ამიტომ ბრძოლას ტყის გაჩეხის წინააღმდეგ კომისარიატის მხრით დღემდის ვერ მოქონდა შესაფერი შედეგი. მაგრამ ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ კომისარიატმა მიიღო შესაფერი ზომები, რათა ტყის დაცვა უზრუნველყოფილი შეიქნეს. რა თქმა უნდა, ტყის მეურნეობას მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის, და ამას უკვე მიექცა შესაფერი ყურადღება; მასთან ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსის მიხედვით კომისარიატმა უკვე შესცვალა თავისი სატყეო პოლიტიკა იმ მხრით, რომ უფასოთ საჭირო ხე ტყის დათმობა ხდება მხოლოდ შეჭირვებულთა ღარიბების ნაწილისთვის; დანარჩენები ხე ტყის ღებულობენ დაწესებული და შემუშავებული ნიხრის თანახმათ.

გადავდივარ ყველაზე უფრო საყურადღებო და ყველაზე უფრო საინტერესო დარგზე, ე. ი. კომისარიატის **მიწის პოლიტიკის** განყოფილების მუშაობაზე, რომელსაც თავისთავათ იგულისხმება, რომ კომისარიატი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა თავიდანვე და აქცევს დღესაც. დიაგრამების და კარტოგრამების საშუალებით, რომელიც დამზადებულია საიუბილეო გამოფენისთვის ყველას შეუძლია ნათელი წარმოდგენა შეადგინოს იმ მუშაობაზე, რომელსაც კომისარიატის მიწის პოლიტიკის განყოფილება ასრულებდა ამ უკანასკნელ 5 6 თვის განმავლობაში.

საბჭოთა საქართველოს აგრარულ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს 6 აპრილის **დეკრეტ მიწის შესახებ** (№ 17). ამ დეკრეტით საქართველოში გაუქმდა კერძო საკუთრება მიწაზე და იმავე დროს ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის საკუთრებათ იყო გამოცხადებული. ეს უდიდესი რევოლიუციონური აქტი სავსებით დაუყოვნებლივ უნდა იქნას გატარებული რაც შეიძლება დაჩქარებით, არსებითათ საქართველოს მიწის მშრომელი ხალხი უკვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე განთავისუფლდა როგორც მონობისაგან, ისე ღალის ძლევისაგან; 6 აპრილის დეკრეტმა ეს განთავისუფლება უკვე დაკანონა. მაგრამ, საუბედუროთ, მიწის ურთიერთობანი იმდენათ რთული და დახლართულია, რომ ამ დეკრეტის სავსებით ერთი დაკვრით გატარება ცხოვრებაში შეუძლებელი იყო.

რა თქმა უნდა, სადაც გაჭირებულ უმიწაწყლო ან მცირე მიწიან გლეხებისთვის მიწის გაცემა აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, იქ ეს ხდებოდა და ხდება დაუყონებლივ; გა და აგისა სასტიკათ აკრძალულ იქ ღალის ღება ან გამორთმევა მე გაუნოკლისს გარდა, და ისინი მხ ლოდ წლევანდელი მოსავლიდან. მა გრამ აშკარა იყო, რომ 6 აპრილ დეკრეტის გასატარებლათ ცხოვრ ბაში აუცილებლათ საჭიროა თავდ პირველი მუშაობის შესრულება, ე. ერთნაირი აღწერის მოხდენა მთე რესპუბლიკაში, რომელმაც უნდა მ გვცეს ცოტათ თუ ბევრათ სწორი დ ნამდვილი ცნობები ერთი მხრი

რუსეთის წითელ არმიას

(პროლეტარულ რევოლიუციის ოთხი წლის თავზე)

სიმართლისათვის მებრძოლ გმირებს
თქვენ, შრომის შვილნო, გიძღვნით სალამსა;
უგმირეთ მტარვალთ ტყვით გულ-მკერდსა,
ზე აფრიალებთ წითელ ალამსა.

თქვენ სიკვდილისა არ გეშინიათ,
იბრძვით გმირულად სიმართლისთვინა
და მღერით ასე: „ვებრძოლოთ ძმებო!
წინ, წინ გვესწრაფოთ, გვესწრაფოთ წინა".

ჩაგვრის სამყაროს, ძველის მსოფლიოს
თქვენ სულ უგზავნით ცეცხლისა ალებს;
მიტომ სწერია თქვენს დროშაზედა:
„ვიცავთ მშრომელებს, ვებრძვით მტარვალებს".

სულ წინ მიიწევთ შრომის შვილებო
ვერა დაგაკლეს მუხანათ მტრებმა,
მტრების სისინი, მათი ჩხავილი
დაჩრდილეს, ძმებო, თქვენმა ხმებმა.

ძველი მსოფლიოს ძირს დანარცხება,
ეს არის, ძმებო, თქვენი მიზანი;
გსურთ შრომის შვილებს შვება მოჰფინოთ
გაანადგუროთ მტარვალთა ჯარი.

ამ მიზნით იბრძვით კიდევაც გმირნი,
სულ წინ მიიწევთ აღთქმისა მხარეს
ებრძვით მტარვალებს გაშმაგებითა...
და აგუგუნებთ ბრძოლისა ზარებს.

მაშ წინ გმირებო! გმირულად წინა!
რომ სამუდამოდ გაჰქრეს წყვდიადი,
„წინ მიგაქროლებსთ ფოლადის ნება
და ელექტრონის ოცნება ლაღი".

თქვენ დაანგრიეთ ძველი ქვეყანა
ბუდე მშრომელთა სულშეხუთვისა;
დაანთეთ ცეცხლი, ცეცხლი ბრძოლისა
ცეცხლი გუზგუზა, ცეცხლი ძლიერი.

და თქვენმა მკლავმა მებრძოლნო გმირნო
შორს გადატყორცნა შავი ყორნები.
თქვენ ხელთ დანთებულ ძლიერმა ცეცხლმა
სულ გადასწვა მშრომელთა მტრები.

დიდება თქვენა შრომის შვილებო!
მებრძოლნო კეთილ მომავლისთვინა
დიდება თქვენა წითელ გმირებო!
ქედ მოუხრელნო მტარვალთა წინა.

თქვენ მაგარ მკლავმა, ძლიერმა მკლავმა
სულ დაამსხვრია ბნელი საკანი...
თქვენ მერცხლები ხართ აღთქმის ქვეყნისა,
თქვენი მხარე კი—მისი აკვანი.

მაშ გაუმარჯოს ძმებო თქვენს წინსვლას!
კომუნიზმისთვის მედგრსა ბრძოლას!
ვეღარ გაუძლებს ძველი მსოფლიო
ბრძოლის სტიქიას, ქარიშხლის ქროლას!

კოლე ფოცხიშვილი.

ამ ხანაში მენშევიკები სავსებით დაგმეს რევოლიუციონური გზა და აირჩიეს მარტოთ მარტო რეფორმების საშუალებით მუშების და გლეხების არსებით მოთხოვნების დაკმაყოფილება, ამით ისინი სავსებით დაადგენ ლიბერალური ბურჟუაზიის ტაქტიკას რაც იმათ პირწმინდათ აყენებდა კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში, ასეთი იყო არა მარტო იმათი თეორია, პირიქით, ასეთი იყო იმათი პრაქტიკაც: 1907—1917 წლების განმავლობაში მენშევიკები თავგამოდებით და დიდი ენერგიით ებრძოდენ რუსეთში ყოველგვარ რევოლიუციონურ, არალეგალურ ბრძოლას, ისინი ილაშქრებდენ მუშების გაფიცვების წინააღმდეგ, და გარდა ამისა იმპერიალისტური ომის დაწყების შემდეგ ცდილობდენ მუშათა კლასსის დაინტერესებას ამ ომით, მუშების და კაპიტალისტ-მცარცველებთან შეთანხმებას (სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში მონაწილეობის მიღება და სხვ.). მხოლოდ ბოლშევიკებს არ დაუშვიათ ძირს რევოლიუციის დროშა ერთი წუთითაც კი. მხოლოდ ისინი გამოხატავდენ მუშების და გლეხების ინტერესებს და სულისკვეთებას, მხოლოდ ისინი ხელმძღვანელობდენ მუშათა მოძრაობას და შეურყეველათ მუშაობდენ ახალი რევოლიუციის სასარგებლოთ, რომელიც, იმათი აზრით, აუცილებელი იყო. ბოლშევიკები, ითვალისწინებდენ რა რუსეთის ობიექტიურ პირობებს, მუდამ ამტკიცებდენ ახალი რევოლიუციონური აფეთქების აუცილებლობას და მასთან ისინი კარგათ ხედავდენ, რომ ეს ახალი რევოლიუცია რუსეთში **ხალხოსნური რევოლიუციის** ხასიათს მიიღებს, რომ ერთადერთი ხელმძღვანელი და მეთაური ამ რევოლიუციაში გამოვა მხოლოდ პროლეტარიატი. ეს წინასწარმეტყველება ჩქარა გამართლდა. მუშათა კლასსის დაგუბებული უკმაყოფილება, და 1914 წლის ზაფხულში შეწყვეტილი აჯანყება თავს ჩენულობს 1917 წლის დასაწყისში: პეტერბურგის პროლეტარიატის მოთმინების ფიალა ბოლოს ივსება, და იგი ქუჩაზე გამოდის მტარვალების და მჩაგვრელების წინააღმდეგ. ყველა კლასსი, გარდა პროლეტარიატისა, (აქ მარტო ქალაქებზეა ლაპარაკი) ყველა პოლიტიკური პარტიები პურიშკევიჩებიდან და გუჩკოვებიდან დაწყებული და გათავებული მენშევიკებით (ჩხეიძე, სკობელევი, ჟორდანია) თებერვლის გამოსვლების და თებერვლის რევოლიუციის წინააღმდეგი იყვენ. მაგრამ ისტორიის ჩარხის ტრიალის შეჩერება მათ არ შეეძლოთ. მუშების გამოსვლების ხელმძღვანელები, რა თქმა უნდა, ბოლშევიკები იყვენ. ის გარემოება, რომ თებერვლის რევოლიუცია შედარებით ადვილათ ჩატარდა, რომ მას არ გამოუწვევია დიდი სისხლის ღვრა, აიხსნება მით, რომ პიტერის მუშებს მხარი დაუჭირეს ჯარის ზოგიერთმა ნაწილებმა, პოლკებმა.

მაგრამ ამ დროს აი რა ხდება. როცა ჯალათი მეფე და მისი დამქაში მინისტრები ტახტიდან ჩამოგდებული იქნენ მუშების აჯანყების მეოხებით, როცა გუჩკოვები, მილიუკოვები და ჩხეიძეები დაყენებული შეიქნენ ასეთი ფაქტის წინაშე, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ ფლიდ და ფარისეველ ვაჟბატონებს სხვა არ დარჩენოდათ რა გარდა იმისა, რომ რევოლიუცია გარეგნულათ, პირფერობით ეცნოთ და გმირულათ მებრძოლი პროლეტარების წინაშე მუხლი მოეყარათ. მას შემდეგ რაც ნიკოლოზ რომანოვი და მისი მტარვალი—მინისტრები მუშების მიერ დატყვევებული იყვენ, მთელი სახელმწიფო ძალა უფლება ფაქტიურათ **პეტერბურგის მუშების დეპუტატების საბჭოს** ხელში იმყოფებოდა. საუბედუროთ, ამ პირველ საბჭოში ხელმძღვანელი როლი ისევ მუშათა კლასსის გამყიდველ და მოღალატე პარტიებს, მენშევიკებს და ესერებს ჩაუვარდათ ხელში. თუ რისთვის მოხდა ეს ასე, ამის გამოძიებას ჩვენ აქ ვერ შევუდგებით, რადგან ეს შორს წაგვიყვანდა. აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ ბ. ბ. ჩხეიძეებმა, კერენსკებმა და სკობელევებმა იმდენი მოახერხეს, რომ მუშათა კლასს თითონ უარი ათქმევინეს სახელმწიფო ძალა-უფლებაზე და ის ნებაყოფლობით ჩაბარეს გუჩკოვებს და მილიუკოვებს, რომლებმაც შეადგინეს **დროებითი მთავრობა**, თავიდან ფეხამდე კაპიტალისტების და მემამულეების წარმომადგენლებისაგან შემდგარი.

ამ გვარათ წარმოიშვა ორი ხელისუფლება. **პეტერბურგის მუშების დეპუტატების საბჭო** (შემდეგ ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოც), რომელსაც ფაქტიურათ ეჭირა თავის ხელში სახელმწიფო ძალა-უფლება, და **დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა**, რომელიც პირველ ხანებში მხოლოდ ფორმალურათ ითვლებოდა მთავრობათ და რომელსაც მუშათა კლასში არავითარი ავტორიტეტი არ ქონდა. მაგრამ დროებითი მთავრობა დაადგა პირდაპირ ვერაგულ პოლიტიკას: მან დაისახა თავის მიზნათ საბჭოს დაუძლურება და მით თვით თებერვლის რევოლიუციის საბოლოოთ დასამარება. ამ კონტრ-რევოლიუციონურ საქმეში ბურჟუაზიის და მემამულეების წარმომადგენლებმა მილიუკოვების და გუჩკოვების მეთაურობით მოინდომეს მენშევიკების და ესერების მეთაურების (ჩხეიძე, წერეთელი, სკობელევი, კერენსკი, ჩერნოვი და სხ.) გამოყენება. მენშევიკებს და ესერების მეთაურებმა ამ საქმეში ითამაშეს მეტათ სამარცხვინო და მეტათ აღმაშფოთებელი როლი. დროებითი მთავრობის თითოეული ნაბიჯი, მისი თითოეული მოქმედება მიმართული იყო მუშათა დეპუტატების საბჭოს ავტორიტეტის დაცემისა და დამცირებისაკენ; გამოდიოდა, რომ საბჭო მარტოოდენ ლაპარაკობდა და დროებითი მთავრობა კი ჩუმათ თავის საქმეებს აკეთებდა. მენშევიკების ოქროპირები კი (წერეთელი, ჩხეიძე, დანი, ავქსენტიევი და სხვ.) ბურჟუაზიული მთავრობის ვექილობას, დაცვას და გამართლებას აწარმოებდენ საბჭოში. პეტერბურგის საბჭო მოწოდებით მიმართავდა ყველა ქვეყნის მუშებს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის ჩამოსაგდებლათ და დროებითი მთავრობა კი მილიუკოვის ნოტით ამ მოწოდებას უკუხმათ აბათილებდა პეტერბურგის საბჭო თხოულობდა; მიწების დაუყონებლივ გადაცემას გლეხებზე, დროებითი მთავრობა კი დამსჯელ რაზმს გზავნიდა სოფლებში, რომ გლეხები არ შეხებოდენ მემამულეების მიწებს; პეტერბურგის საბჭო და სხვა საბჭოებიც იმპერიალისტური ომის შეწყვეტას თხოულობდენ და მოწინააღმდეგე ბანაკების ჯარისკაცებს ურჩევდენ დაძმობილებას, და დროებითი მთავრობა კერენსკის მეთაურობით და წერეთლის მონაწილეობით ახალ თავდასხმებს ამზადებდა; პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო თხოულობდა კონტრ-რევოლიუციონერ გენერლების გაძევებას ჯარიდან და პასუხისგებაში მიცემას, დროებითი მთავრობა კი, პირიქით, სწორედ ასეთ გენერლებს (კორნილოვი, კალედინი და სხვ.) ანდობდა ჯარსაც და მთელი სახელმწიფოს ბედ-იღბალსაც და სხვ. და სხვ.

მთელი რვა თვის განმავლობაში მუშათა დეპუტატების საბჭოებს დიდი განსაცდელი დაადგათ! იყო მომენტები, როცა საბჭოებს განადგურება მოელოდათ. მაგრამ მუშათა კლასის საღი კლასობრივი ინსტინქტის მეოხებით და ერთი მხრით და კომუნისტ-ბოლშევიკების შეუდრეკელი აგიტაციის და პროპაგანდის წყალობით მეორე მხრით საბჭოებმა გაიმარჯვეს და დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ, რომელშიაც შედიოდენ მენშევიკები და ესერები, სამუდამოთ განუტევა სული.

ბოლშევიკებმა ამხ. **ლენინის** მეთაურობით უკვე 1917 წლის აპრილის თვიდან გადაისროლეს მუშებში და გლეხებში შემდეგი ლოზუნგი: **„მთელი ძალა-უფლება საბჭოებს"** ამ ლოზუნგს სულ მოკლე ხანში მაგრათ ჩასჭიდეს ხელი მუშების და გლეხების ფართო მასსებმა. ეს იყო მასსისთვის უდიდესი გამარევოლიუციონერებელი ლოზუნგი. მთელი ძალა-უფლება მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოებს,—ეს ნიშნავდა მუშათა კლასსის და რევოლიუციის გამარჯვებას თავის მყვლეფელებზე და მძარცველებზე. ეს ნიშნავდა: ძირს იმპერიალისტური და გამძარცველი ომი და გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლიუციას.

აი ამ ლოზუნგებით გამოვიდა თებერვლის რევოლიუციის ხანაში (1917 წლის მარტიდან ოქტომბერ-ნოემბრამდე) ბოლშევიკების პარტია და მან იწყო ფართო და ენერგიული აგიტაციის წარმოება მუშათა და გლეხთა მასსებში. ყველა პარტიები და ჯგუფები, როგორც ბურჟუაზიულ თავადაზნაურული, ისე მოღალატე სოციალისტურ პარტიები მენშევიკებისა და ესერების შეერთდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველათ. კერენსკის და ჩერნოვის მთავრობამ წერეთლის და ჩხეიძის ენერგიული მონაწილეობით მოინდომა ბოლშევიკების პარტიის სისხლში ჩახჩობა საზიზღარი პროვოკაციის და უნამუსო ცილისწამების საშუალებით (ივლისის დღეები); ბოლშევიკების პარტია კანონს გარეშე იქნა გამოცხადებული, მის მეთაურებს იჭერდენ ბურჟუაზიის მიერ შესყიდული იუნკრები და სხვა ბნელი ელემენტები, ამხ. ლენინს მოსაკლავათ დასდევდენ. ეს კონტრ-რევოლიუციონური ტალღა მოედვა მთელ რუსეთს, გადავიდა ჯარში. ის უმაგალითო და ჯერ არ ნახული თავისუფლება, რომელიც მოიპოვა პროლეტარიატმა თებერვლის დღეებში გმირული ბრძოლით, თვით პროლეტარიატისთვის, მისი ერთად ერთი პარტიისათვის, მისი საუკეთესო წარმომადგენლებისათვის მოისპო და ბურჟუაზიის და მენშევიკების შეერთებული მთავრობის წყალობით მათზე ნადირობა დაკანონდა.

მიუხედავათ ყველა ამისა, ჩვენ ვხედავთ ბოლშევიკების პარტიის საოცარ ზრდას, მაშინ როცა მენშევიკების და ესერების პარტიების პატივისცემა და სახელი მუშა ხალხში სულ უფრო და უფრო ეცემა. ეს გარემოება მოასწავებდა იმას, რომ მუშათა კლასსი თანდათან ერკვეოდა, ის თანდათან გებულობდა და რწმუნდებოდა მენშევიკების და ესერების ლიდერების ღალატში და გამცემლობაში. და აი მუშა ხალხში ჩნდება და იზრდება სრული უნდობლობა ამ მოღალატე და მუხანათ პარტიებისადმი. იმავე დროს ის რწმუნდება იმაში, რომ მუშების და გლეხების, ე. ი. დაჩაგრულ და გაყვლეფილ ხალხის, ნამდვილი და ერთგული დამცველი ბოლომდის არის მხოლოდ ბოლშევიკების პარტია. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ მიუხედავათ იმისა, რომ კერენსკის და კამპანიის მთავრობა ნადირობდა ბოლშევიკურ პარტიაზე, ბოლშევიკ-დეპუტატების რიცხვი პეტერბურგის, მოსკოვის და სხვა სამრეწველო ქალაქების საბჭოებში თვალსაჩინოთ და შეუდავებლათ იზრდებოდა ასე რომ 1917 წლის სექტემბრის და ოქტომბრის თვეებში ბოლშევიკ-დეპუტატების რიცხვი ყველა ამ ქალაქებში შეადგენდა უკვე დიდ უმრავლესობას. მდგომარეობა მეტათ გამწვავდა: ერთი მხრით ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც რევოლიუციონურ რუსეთში ფეხ ქვეშ თელავდა რევოლიუციონურ მუშების და გლეხების ყოველგვარ მოთხოვნებს და აშკარათ იცავდა მყვლეფელ კლასსების ინტერესებს; მეორე მხრით, გადიდებული და მოზარდი გავლენა ბოლშევიზმისა მუშათა კლასსში. აშკარა იყო, რომ ეს ორი ძალა: ერთი მხრით ბურჟუაზია და მემამულეები თავისი ლაქიებით და დამქაშებით (მენშევიკები და ესერები) და მეორე მხრით პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა აუცილებლათ ერთი ერთმანეთს უნდა დასტაკებოდენ და მართლაც ორივე ბანაკი, როგორც კონტრ რევოლიუციონური, ისე რევოლიუციონური, დაუფარავათ და გაფაციცებით ემზადებოდა ამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. თუ დაღალული და განწირული კერენსკის მთავრობა [illegible] რეაქციონურ გენერლებში და სხვა ბნელ ძალებში ეძებდა ხსნას, პროლეტარიატი იზიდავდა თავისკენ ყველა სასიცოცხლო და რევოლიუციონურ ძალებს. ცდა სხვა და სხვა თათბირების მეოხებით ამ უდიდესი კონფლიქტის თავიდან აცილებისა (მოსკოვის თათბირი აგვისტოში, შემდეგ დემოკრატიული თათბირი პეტერბურგში) უნაყოფოთ ჩაიარა. ამნაირათ შეტაკება აუცილებელი შეიქნა. კითხვა იმაში იყო, ვინ აიღებდა პირველათ ინიციატივას, ვინ აიღებდა ხელში ხმალს და თავის მოწინააღმდეგეს თავში დასცემდა. ამაზე დიდათ იყო დამოკიდებული თვით გამარჯვება. წარმოვიდგინოთ, რომ ოქტომბრის თვეში არ მომხდარიყო პეტერბურგის პროლეტარიატის გამოსვლა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ; იმ შემთხვევაში აშკარა იყო, რომ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია თითონ აიღებდა თავის ხელში ინიციატივას და თითონ დაესხმოდა თავს პეტერბურგის მუშებს, იმათ საბჭოს სახით და გასაკვირალი არ იქნებოდა, თუ ის კიდევ ერთხელ დაამარცხებდა მუშათა კლასს.

როგორც ვიცით, პეტერბურგის შემდეგ მოსკოვის და სხვა ქალაქების მუშებმა დიდებულ ოქტომბრის დღეებში (ძველი სტ. 25 ოქტომბერი ახალით—7 ნოემბ.) კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის გამოსვლას დაასწრეს და ის ტახტიდან ჩამოაგდეს, და უნდა ითქვას, რომ ეს საქმე შედარებით ადვილათ შესრულდა. რა თქმა არ უნდა, **ოქტომბრის გადატრიალებით** პროლეტარიატის მხრით გადადგმულ იქნა მეტათ დიდი და **გადამწყვეტი ნაბიჯი**. ეს ნიშნავდა ერთი მხრით პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებას და მეორე მხრით სოციალისტური რევოლიუციის დაწყებას. ოქტომბრის რევოლიუციას თან მოყვა უდიდესი და უსასტიკესი სამოქალაქო ომი, რომლის ბადალი ჯერ კაცობრიობას არ ახსოვს, ვინაიდან 1848 და 1871 წლების სამოქალაქო ომი პარიჟში მხოლოდ მკრთალი მოგონებაა იმის, რაც რუსეთში დატრიალდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

ზოგს დღესაც გონია, რომ თითქო იყო სხვა გამოსავალი. გარდა პროლეტარიატის აჯანყებისა, რომ თითქო იყო ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლებოდა ოქტომბრის რევოლიუციის თავიდან აცილება. მაშინ ამათ უნდა დაამტკიცონ ისიც, რომ შესაძლებელი იყო თებერვლის რევოლიუციის და საერთო იმპერიალისტური ომის თავიდან აცილება. მაგრამ ამის დამტკიცება არავის არ შეუძლია. კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის როლი ოქტომბრის რევოლიუციაში მდგომარეობდა იმაში, რომ მან ალღო აუღო თანამედროვე პირობებს, რომ მან მართლათ და სწორათ შეიგნო პროლეტარიატის დანიშნულება და ამოცანა დღევანდელ რევოლიუციაში და ამ შეგნებაზე ააგო თავისი მოქმედების ტაქტიკა.

წერილი გაგვიგრძელდა, უმთავრეს საკითხებზე ჩვენ უკვე ვუპასუხეთ. დაგვრჩა ერთი საკითხი: რა მისცა მუშათა კლასს ოქტომბრის რევოლიუციამ? ან: ღირდა თუ არა ესოდენ სისხლის ღვრა და ამოდენა მსხვერპლი, რაც ოქტომბრის რევოლიუციამ მოითხოვა რუსეთის პროლეტარიატისაგან 3—4 წლის განმავლობაში შეუწყვეტელი სამოქალაქო ომის გამო? რა თქმა უნდა, პროლეტარიატს არავის სისხლი არ სწყურია, იგი მშვიდობიანობის და ზავის ნამდვილი მომხრეა. მაგრამ იგი ვალდებული იყო დაეცვა თავისი თავი, როცა მას თავზე დაეცენ მთელი საუკუნოების და ათასოვან წლების განმავლობაში მშრომელი მასსები, დაჩაგრულები და დამონებულები, მუშები და გლეხები ომობდენ ღვრიდენ სისხლს თავიანთ მყვლეფ ლების მძარცველების სასარგებლო თავიანთ მჩაგვრელების და ჯალათ ბის დასაცავათ. დადგა დრო, რო ეს მუშები და გლეხები აჯანყდ თავიანთ მჩაგვრელებს და მყვლეფ ლებს, რათა სამუდამოთ გაინთავ სუფლონ თავი იმათგან და საერთო მოსპონ ყოველგვარი ჩაგვრა, ყვლე და მონობა. ყველა დაგვეთანხმ იმაში, რომ ასეთი დიდებული ს მისთვის ღირდა, რომ მუშებს გლეხებს გაეღოთ ასეთი მსხვერპ და დაეღვარათ ამოდენა სისხლ მართალია, რუსეთის მუშებს და გლ ხებს სავსებით ჯერ კიდევ არ გან ხორციელებიათ თავისი საბოლო მიზანი, მართალია მათ ჯერ კიდ საკმარისად დიდი მანძილი აქვთ გ სავლელი ამ ბრძოლის გზაზე, მაგრ იმათ მაინც დიდ შედეგებს მია წიეს მით, რომ იმათ მოსპეს კაპ ტალისტების და მემამულეების ბ ტონობა, წაართვეს რა მათ პოლიტ კური უფლებები; იმავე დროს რუსეთ პროლეტარიატი შეუდგა **სოციალ მის განხორციელებას, ძმობის, ს ლიდარობის და თანასწორობის და ყარებას საზოგადოებაში.**

ამ განვლილი ოთხი წლის გამოც დილება გვეუბნება, რომ **ოქტომბრის რევოლიუციის გავლენა გრცელდე** ბა მთელ დედამიწის ზურგზე ყო ველგან, რომ ეს გავლენა თანდათა იზრდება და ის უძლეველი ხდება. ოქტომბრის რევოლიუციას მოაქვ ბედნიერება და სიკეთე ყველა იმათ თვის, ვინც დაჩაგრული და დამონე ბულია. აქედან ის დასკვნა გამო დინარეობს, რომ კაცობრიობის ი ნაწილი, რომელიც ამჟამად დაჩაგრული და დამონებული იყო, განურ ჩევლად ტომისა, სარწმუნოებისა სქესისა, ოქტომბრის რევოლიუცი დროშის ქვეშ უნდა შეიკრიბოს დაირაზმოს. ვინაიდან ოქტომბრი რევოლიუციის გამარჯვება, ეს მშრო მელი და დაჩაგრული კაცობრიობი გამარჯვებაა.

ფ. მახარაძე.

ოქტომბერ ნოემბერი, 1921 წ.

გლეხების რაოდენობაზე, რომლებიც მიწას საჭიროებენ და მეორე მხრით დასარიგებელ ან გასანაწილებელ მიწების რაოდენობაზე თითოეულ სოფელში, საზოგადოებაში და მაზრაში. როცა დამთავრდება ეს მუშაობა და ის დამთავრდება ან ორ-სამ თვეში, მაშინ კომისარიატი შეუდგება მიწის დანაწილებას გაჭირვებულ გლეხებში უფრო სისწორით, რაც უეჭველად დაიწყება არა უგვიანეს მომავალი გაზაფხულისა.

სამწუხაროთ, უნდა ვაღიაროთ აქ, რომ ყველა ჩვენი დეკრეტების და ცირკულიარულ განკარგულებების გატარება ცხოვრებაში ფერხდება, გარდა უფულობისა, უკაცობითაც. ადგილობრივ ან ვერ ღებულობენ დროზე დეკრეტებს და ცირკულიარებს, ან თუ ღებულობენ, არ კითხულობენ იმათ ისინი, ვისაც ამისთვის მოწოდებულია, თუ კითხულობენ, არ ასრულებენ. კომისარიატი ებრძვის ამ სენს, რამდენადაც კი მას ძალა შესწევს, ის აძლევს ხელახალ განკარგულებებს, აქვეყნებს იმათ გაზეთებში, გზავნის ადგილობრივ თავის რწმუნებულებს და საგანგებო მინდობილობათა აგენტებს ადგილობრივ ხელისუფლების დასათვალიერებლათ და მათთვის საჭირო დირექტივების გადასაცემათ. ისიც უნდა ითქვას აქ, რომ სხვადასხვა უწყებები კომისარიატს ზოგჯერ უშლიდენ ხელს მიწის დეკრეტების გატარების საქმეში. იშვიათია ისეთი მოქალაქე მეტადრე დღევანდელ სასურსათო კრიზისის დროს, რომელსაც ცოტათ თუ ბევრათ მჭიდრო კავშირი არ ქონდეს მიწასთან. ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯორგავენ და აწუხებენ ყოველი მხრიდან სხვადასხვა წინადადებით ან პირდაპირ ბრძანებით, რომ ამა და ამ პირის მიწას ხელი ნუ ახლებენ, ან ამა და ამ კაცს უნდა მიეცეს ტყე და სხვა ასეთები. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი იბნევა და არ იცის, თუ რა ქნას. რა თქმა უნდა, კომისარიატი ებრძვის ამ ბოროტებას, რითაც კი გაუვა. მართალია, კომისარიატს ამ საქმეში ბევრი ხელის შემშლელი პირობები ეღობებოდა და დღესაც ეღობება წინ, მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ კომისარიატმა უკვე ბევრი გააკეთა იმ მხრივ, რომ ბატონ-ყმურ ურთიერთობის ნაშთები, რომლების აღმოფხვრა მენშევიკებმა ვერ შესძლეს მთელი სამი წლის განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენიმე თვის განმავლობაში მოსპო, მიწის მშრომელნი გაანთავისუფლა ყოველგვარი მონობისა და ძალისაგან, მიწა გადადის მხოლოდ მშრომელი ხალხის ხელში. ასეთი უდიდესი ცვლილების მოხდენა შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას კომუნისტური პარტიის მეთაურობით. ყველასათვის აშკარაა, რომ მიწის ძველ ურთიერთობაში საბჭოთა ხელისუფლება ქვას ქვაზედაც არ ტოვებს, ის აქ შლის ყველაფერს ძველს და ქმნის ახალს.

მიწის პოლიტიკასთან შეკავშირებულია ერთი მხრით გადასახლების პოლიტიკა და მეორე მხრით სამეურნეო კომმუნების, ამხანაგობების და არტელების საკითხი. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ორივე ამ დარგში კომისარიატს უნდა გამოეჩინა უფრო მეტი მოღვაწეობა, ვინემ ეს მოხდა სინამდვილეში, მაგრამ მის მოქმედებას აქაც ბევრი გარემოება ეღობებოდა წინ. ყოველ შემთხვევაში ცოტა რამ აქაც გაკეთდა და სრული იმედია, მომავალში კიდევ მეტი გაკეთდება, ვინაიდან საქმის დაყენება მოგვარებულია. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აქ ერთი მეტად დამახასიათებელი და იმავე დროს დიდათ საგულისხმიერო გარემოება. საქმე იმაშია, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, სამეურნეო კომმუნების და ამხანაგობების წესდება ბევრმა მყვლეფელმა ელემენტებმა მოინდომეს გამოეყენებიათ იმათ მფლობელობაში არსებულ მიწების შესანარჩუნებლათ. მიწადმოქმედების კომისარიატმა წინდაწინვე იცოდა, რომ ეს ასე მოხდებოდა და ამიტომ თავის დროზე მიიღო ამის წინააღმდეგ შესაფერი ზომები. ასეთი ფიქტიური ამხანაგობები სოკოსავით ჩნდებიან, მაგრამ კომისარიატი იმათ არ ამტკიცებს. *) რა თქმა უნდა, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო.

სოციალისტური მიწადმოქმედების დამყარება მოხდება არა სამეურნეო კომუნების და ამხანაგობების გზით, არამედ სხვა უფრო ფართო ხასიათის ზომებით, როგორიც არის ელექტროფიკაცია, დიდი სარწყავ არხების გაყვანა და სხვ., მაგრამ ეს კომუნებიც და ამხანაგობებიც ითამაშებენ ამ საქმეში ერთნაირ როლს. ამიტომ კომისარიატს არ შეუძლია არ მიაქციოს მათ შესაფერი ყურადღება, მასთან მისი მიზანია ამ შემთხვევაში ის, რომ სამეურნეო კომმუნები და ამხანაგობები შესდგენ ნამდვილ მუშებისაგან ან ღარიბულ გლეხებიდან.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია მოკლე წერილში მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის ყოველმხრივი დახასიათება; ვისაც აინტერესებს ეს საგანი, მას შეუძლია გაეცნოს ამ საკითხს მიწად-მოქმედების საიუბილეო გამოცემის საშუალებით.

ფ. მახარაძე.

---

*) რამდენათაც ჩვენ ვიცით, იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა ასეთი ფიქტიური ამხანაგობა მიწადმოქმედების კომისარიატის აგენტის მიერ დამტკიცებული იქნა. ეს იყო [illegible] ამხანაგობის დამტკიცება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანიზაცია დაიწყო მარტის დასაწყისში და მთელი რიგ ცვლილებათა შემდეგ ჩამოყალიბდა განსაზღვრულ ფორმებში, რომელიც აღნიშნულია განსაკუთრებულ დებულებაში. ამ დებულების თანახმად, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში იმყოფებიან სამრეწველო ხასიათის ყველა დაწესებულებანი, ვის მოთხოვნილებებსაც ისინი არ უნდა აკმაყოფილებდნენ.

ვინაიდან მრეწველობა იყოფა მთელ რიგ, ერთი მეორისაგან მკაფიოდ განცალკევებულ დარგებად, ს. მ. უ. საბჭოს მოღვაწეობა მთელი წარმოების სმართველობის მხრივ შესაბამისად განყოფილებებშია განაწილებული. ეს განყოფილებები შემდეგია: 1) სამთამადნო, 2) სატყეო (სატყეო კომიტეტი), 3) ლითონის, 4) ქიმიური, 5) სახელმწიფო შენობათა, 6) სათამბაქო, 7) სატყავო, 8) საფეიქრო სამკერვალო, 9) პოლიგრაფიული, 10) სატრანსპორტო-სანავთო განყოფილება.

ყოველი ამ განყოფილებათაგანი განაგებს უმთავრესად მრეწველობის თავის დარგის წარმოებითი მხარეს. ხოლო სათბობი მასალით და ნედლეულით წარმოებათა მომარაგების საკითხები ექვემდებარებიან ცალკე განყოფილებას, მომარაგების საბჭოს.

განყოფილებათა და წარმოებების ფულით დაკმაყოფილებას და მათი საბუღალტრო ანგარიშს განაგებს ს. მ. უ. საბჭოს ფინანსიური განყოფილება.

გარდა ამისა, არის კიდევ შემდეგი განყოფილებები: 1) საადმინისტრაციო, 2) სტატისტიკურ ეკონომიური, 3) ცენტრალურ-წარმოებითი.

ასეთია ცენტრალური აპარატის საორგანიზაციო სქემა. ადგილობრივად სამაზრო რევკომებთან მოწყობილია უმაღლეს ინსტრუქციის მქონე ეკონომიური განყოფილებანი.

თვით სახალხო მეურნეობის საბჭოს ორგანიზაციისათვის მუშაობასთან ერთად შეუდექით სამრეწველო დაწესებულებათა და სხვა და სხვა საწყობების და სავაჭრო დაწესებულებების აღრიცხვას. თბილისში ამ სამუშაოს აწარმოებდნენ ს. მ. უ. საბჭოს ცენტრალური ორგანოები, ადგილობრივად კი მისი სამაზრო ორგანოები. ეკონომიური პოლიტიკის საერთო კურსის გამოურკვევლობა, გამოურკვევლობა იმისი, თუ სახელდობრ რანაირი წარმოებანი უნდა დარჩენილიყვნენ კერძო პირების ხელში და რანაირი გაეროვნებულიყვნენ, იძულებულს გვხდიდა პირველ ხანში აღრიცხვაზე აგვეღო ფრიად სხვა და სხვა გვარი წარმოებანი, მაღაზიები და საწყობები, საქმის გარჩევის და საფუძვლების გარეშე.

საწყობებსა და მაღაზიებში საქონლის აღრიცხვა მრავალს შემთხვევაში გადაიქცა ნამდვილათ მის რეკვიზიციად ისევე, როგორც სამრეწველო დაწესებულებათა აღრიცხვა ხშირად იქცეოდა ფაქტიურ ნაციონალიზაციად. ზოგიერთი მათგანის პატრონები გაიქცნენ საზღვარ-გარედ, მეორენი, თუმცა არ გაქცეულან, მაგრამ განზე გადგნენ, დანარჩენებმა ვერ შესძლეს საქმის გაგრძელება, რადგან არ გააჩნდათ ის უამრავი საშუალებანი, რომელნიც ერთბაშად შეიქნა საჭირო ფულის ნიშნების კურსის უცაბედი დაცემასთან დაკავშირებით.

ვაჭრობის მიმართ ნაციონალიზაციის განსაზღვრულ პრინციპების და კრიტერიუმის დაწესების პირველი ცდები გამარჯვებით არ დამთავრდა; გადაწყვეტილ იქნა მთელი ვაჭრობის დატოვება თავისუფლად, მსხვილ და წვრილ ვაჭრობად რაიმე ხელოვნური დაყოფის გაუტარებლად. აღრიცხვაზე აღებულ საქონლის შესახებ დადგენილ იქნა მისი ღირებულების გადახდა 25 თებერვლისთვის არსებული ფასების მიხედვით და არა უმეტეს ერთი მილიონი მანეთისა; ამ ნორმას აღმატებული ჯამი ირიცხებოდა ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიმდინარე ანგარიშზე და გადახდილი უნდა ყოფილიყო შეძლებისა დაგვარად.

მრეწველობის მხრივ ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა, მიღებული და გამოქვეყნებული რევკომის მიერ №-42-ით. ამ დეკრეტის მიხედვით ყველა ის სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთაც აქვთ მექანიკური მამოძრავებელი და ყავთ არა ნაკლებ 10 მუშისა, ან უმამოძრავებლოდ არა ნაკლებ 20 მუშისა, ან მუშათა რაოდენობის დამოუკიდებლად მამოძრავებელი არა ნაკლებ 25 ძალისა, ცხადდებიან სახელმწიფო საკუთრებად, მაგრამ ამასთან ს. მ. უ. საბჭოს უფლება ეძლევა ცალკე შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოსაზრებებით, ზოგიერთი ასეთები გაანთავისუფლოს ნაციონალიზაციიდან.

გარდა ამისა, ს. მ. უ. საბჭოს პროექტების მიხედვით რევკომმა გამოსცა დეკრეტები ელექტროსადგურების, პოლიგრაფიულ წარმოებათა და ნავთიან ადგილების ნაციონალიზაციის შესახებ.

ჯერ კიდევ საერთო დეკრეტის (№ 42) გამოქვეყნებამდე ს. მ. უ. საბჭომ დაარსა კომისია, რომელმაც განიხილა ყველა დარგის წარმოებები იმის გამოსარკვევად, თუ რომელ მათგანზე ვრცელდება დეკრეტი ნაციონალიზაციის შესახებ და რომლების გაეროვნება არ იყო რაიმე მიზეზით სახეირო.

ს. მ. უ. საბჭოს დადგენილებით სულ გაეროვნებულია 82 საწარმოო დაწესებულება. უნდა აღინიშნოს, რომ ს. მ. უ. საბჭო ძალიან ფრთხილად უდგებოდა ნაციონალიზაციის საკითხს, რათა საკუთარ მხრებზე ზედმეტი ტვირთი არ დაწოლოდა და ხელი არ შეეწყო შემდეგი ნგრევისათვის. ამ მხრივ ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს უხდებოდა მძლავრი ზედმოქმედების ატანა თავისი წარმოებითი განყოფილებათა, აგრეთვე ცალკე პროფესიონალურ კავშირების მხრით, რომელნიც მოითხოვდნენ წვრილ და უმნიშვნელო წარმოებათა ნაციონალიზაციას.

მიღებულ იქნა ყოველგვარი ზომები, რათა გადაგვერჩინა წარმოება შემდგომი დაშლისაგან და, პირიქით, უზრუნველ გვეყო მისი განვითარება. თუ რამდენათ მივაღწიეთ ამ მხრივ გამარჯვებას, ამას მოწმობს ახლახან მომხდარი საქართველოს ს. მ. საბჭოთა ყრილობა (1921 წ. 3—8 ოქტომბერს), რომელზედაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში მოწყობილია ზოგიერთი სრულიად ახალი წარმოებანი, ხოლო ძველ წარმოებაში არამც თუ არ დაცემულა შრომის ნაყოფიერობა, არამედ მრავალ შემთხვევაში მან მიაღწია ომამდე არსებულ ნორმას.

ამ ყრილობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს მთელ მრეწველობას. აქ გარკვეულ და მიღებულ იქნა ახალი ეკონომიური პოლიტიკა უფრო ნათლად განვსაზღვრეთ საორგანიზაციო ფორმები და დავსახეთ უახლოესი წარმოებითი სამუშაოები რესპუბლიკის მასშტაბით, ამ სამუშაოების ჩამოთვლით დავამთავრებთ ჩვენს მოკლე მიმოხილვას.

ყრილობამ აუცილებლად სცნო მომქმედი წარმოებათათვის ხელის შეწყობა და მათი ნაყოფიერების აყვანა ომის წინანდელ ნორმამდე, მან დასახა უახლოესი ამოცანები, რომელთა განხორციელებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა ს. მ. საბჭოს როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა დაწესებულებებმა.

სრულიად ბუნებრივია, რომ მიწათ მოქმედების ქვეყანაში, როგორსაც წარმოადგენს საქართველო, დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო მეურნეობას. სასოფლო მეურნეობის აღორძინების მიზნით განზრახულია სარწყავ არხების გაყვანა.

ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია და გვაქვს ყველა საბუთი ვიფიქროთ, რომ ისინი დამთავრდება მომავალი წლის ზაფხულისათვის. ამ აზრში გვარწმუნებს ის აღფრთოვანება, რომლითაც ადგილობრივი გლეხობა ასრულებს ამ სამუშაოებს ჩვენი ტექნიკური პერსონალის ხელმძღვანელობით. ამგვარად, მუშა ხელი აქ უმთავრესად მუქთად და სახელმწიფოს უხდება მხოლოდ ხელმძღვანელ პერსონალის დაკმაყოფილება და ტექნიკური მასალების გაღება, რაც გადაულახველ სიძნელეს არ წარმოადგენს რესპუბლიკისათვის. ამ სამუშაოების შესრულებით, სარწყავ მიწის საერთო სივრცე უდრიდეს იქნება არა ნაკლებ 60 ათას დესეტინას. თავის თავად გასაგებია, თუ რა დიდ ღირებულებას წარმოადგენს ეს სამუშაოები, როცა გავითვალისწინებთ ჩვენი სასურსათო სიძნელეს.

შემდეგ მისდევს გაყვანა და შეკეთება გზებისა, რომელთაც აქვთ სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა. საქართველოს სამხედრო გზა, ოსეთის სამხედრო, ახალციხის და სხვა, წყალტუბოს გზის გაყვანა, ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზის ნატანები ოზურგეთ შორის და სხვა.

სამთო მადნო დარგში პირველ ადგილზეა წამოყენებული ტყიბულის ქვა-ნახშირის და ჭიათურის შავი-ქვის მადაროები, შრომის წარმოებანი და კახეთის სანავთო და მარილიანი ადგილები.

ფრიად სერიოზული ყურადღება ექცევა ტყის მასალის დამზადებას რკინის გზის ტრანსპორტის მოგვარების და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შენობათა შეკეთების მიზნით.

ყველა ეს მიზნები ფრიად რეალური და სასიცოცხლოა, მათ წარმატებით განხორციელებაში დაინტერესებული არიან მშრომელ მასების ფართო წრეები, და გვაქვს ყოველი საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს გამოაღვიძოს და გაშალოს მთელი მარაგი და შემოქმედი საწარმოო ძალები მთელი მშრომელ მცხოვრებთა საკეთილდღეოდ.

მ. ტოროშელიძე.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობა

ბურჟუაზიის და პროლეტარიატის დიდი ბრძოლის პროცესში და უკანასკნელის გამარჯვების შედეგად, ჩვენი თვალის წინ იშვა ერთი ორგანიზაციული ფორმა მისი დიქტატურის, მისი საზოგადოებრივი უფლებები—საბჭოთა ძალა-უფლება. პროლეტარიატი პირველად, მამაცურად აყენებს და პრაქტიკულად ატარებს უფლების ხელში აღებულის ლოზუნგს, ის პირველად ახორციელებს თავის დიქტატურას, რომლის ძირითადი პრინციპი—პროლეტარული დემოკრატიზმის გამარჯვება—საძირკველად უდევს საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობას. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული საზოგადოება ემყარებოდა შრომის ნაყოფებით ორგანიზაციას და ყოველივე ღირებულების უმცირესობის შორის განაწილებაში, ამ ახალ აღმშენებლობაში შრომა და ყოველივე სიმდიდრე ემსახურება მშრომელთა უმრავლესობას. ძირითადმა განსხვავებამ, რომელიც ახასიათებს საბჭოთა აღმშენებლობას, შეიძლება ითქვას გადაჭარბებლად, მთელი რევოლუცია გამოიწვია ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

ბურჟუაზიული მიდრეკილება მოგებისაკენ და უმცირესობის ვიწრო კლასობრივ მიკერძოებისაკენ, რომელიც იხატებოდა აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეცვლილ იქნა პროლეტარიატის მიდრეკილებით ჯანმრთელობისაკენ და მშრომელთა უმრავლესობის ინტერესების დაცვისაკენ. მცხოვრებთა ფიზიკურად გაჯანსაღების საქმეში პროლეტარიატის პრინციპების და ნებისყოფის გამტარებელ ორგანოდ მიჩნეულ იქნა ჯანმრთელობის კომისარიატი, რომელმაც ჩვენში, საქართველოში საბჭოთა რევოლუციის პირველ დღეებშივე მტკიცედ და შეურყევლად მოკიდა ხელი საბჭოთა მედიცინის ცხოვრებაში გატარებას. ჯანმრთელობის კომისარიატმა, რომელიც თავისი შენებით უარყოფს მედიცინის უწყებათა შორის დაქუცმაცებას, და აერთიანებს მას ერთ მთლიან ორგანოდ სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატში—თავის მოღვაწეობის მთავარი სიმძიმე გადაიტანა მკურნალობის სფეროდან ავათმყოფობისაგან თავის დაცვის სფეროში, იშველიებს რა ავათმყოფობასთან საბრძოლველად ფართო მშრომელთა მასებს, ამ საქმეში მათი აქტიური ჩაბმის გზით.

უკანასკნელის საუკეთესო მაგალითად, შეიძლება გამოვიყენოთ ის ფართო მასიური თანამშრომლობა ეპიდემიასთან ბრძოლის საქმეში, რომელიც მოწყობილ იქნა ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ ხოლერის გაჩენის ხანაში, მაგ., „გამწმენდის კვირა" მთელი საქართველოს მასშტაბით, სანიტარული სამეულების მუშაობა, და ბევრი სხვა მსგავსი მუშაობა. პარტიის, პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელთა დახმარებით. ასე შესრულებულ იქნა მნიშვნელოვანი როლი საქართველოს მცხოვრებთა მასიურ ინიციატივის გამოჩენის დაუვიწყარ დღეებში.

ავათმყოფობათა გავრცელების წინააღმდეგ წინასწარ ზომათა მიღებაში ფართე სანიტარულ განმანათლებელმა მუშაობამაც ბრწყინვალე შედეგი მოგვცა.

ასი ათასზე მეტმა ინსტრუქციებმა, პლაკატებმა, წიგნაკებმა, ათობით მოწყობილმა ლექციებმა და საუბრებმა ფართოდ გაიკაფეს გზა მასსებში, ამაგრებდნენ მათში საძირკველს თავდაცვითი მედიცინისას, აღძრავდნენ ინიციატივას და თვით მოქმედებას საქართველოს გაჯანსაღების საქმეში.

ჯანმრთელობის კომისარიატმა მიაქცია ასეთი დიდი ყურადღება არა მარტო თავდაცვითი მედიცინას, არამედ ენერგიით მოკიდა მან ხელი ექიმობის საქმესაც. მიიღო რა უკანასკნელის ძირითადად მიზნებათ პრინციპები უფასო და ყველასათვის ხელმისაწვდომ ექიმობისა—მან გადიდა მთელ საქართველოში სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი, გაატარა წინასწარ აღრიცხვა მედიკურ პერსონალისა. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეულ იქნა 367 კაცი, არმიისათვის, მაზრებისათვის და მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. ბევრ მაზრებში საფერშლო პუნქტები შეიცვალა საექიმო პუნქტებით, საშუალო რიცხვით 15 ვერსტის დიამეტრით. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მიიღო რა მხარე ყოველგვარი საექიმო რესურსებისგან დაცალიერებული, ძალი ხელი უფრო ეპიდემიის დროს გახშირებულ ცარცვა-გლეჯის გამო, მან არა თუ შესძლო აღედგინა წინანდელი მდგომარეობა, არამედ გააფართოვა და გააუმჯობესა ხარისხით მედიცინის საქმის დაყენება. ამის მშვენიერი მაჩვენებელია ქვემოდ მოყვანილი ციფრები.

გარდა ათი ათასობით საწოლების შენახვისა, უკანასკნელ ხანებში გახსნილია 93 კბილის საექიმო დაწესებულებები მთელ საქართველოში. (კაბინეტები, რომლებიც ემსახურებიან მუშა მოსამსახურეთა ორდერების სისტემით, კბილის საექიმო ამბულატორიები და კბილის ტექნიკური ლაბორატორიები).

მოწყობილია 7 სასანიტარო ეპიდემიური და 3 სადეზინფექციო რაზმები, 2 მოძრავი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია და 7 კერძოთ მოწყობილი დიაგნოსტიკური მიზნებისათვის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები.

მიღებულ იქნა ყოველგვარი ღონისძიებანი, შრატის და ვაქცინების წარმოების ნაყოფიერების გასაძლიერებლად, რომელიც იძლევა 2 მილიონ კუბიკ სანტიმეტრზე მეტს.

უკანასკნელმა დააკმაყოფილა არა თუ საქართველოს მოთხოვნილება, არამედ მეზობელ რესპუბლიკებისაც. საქართველოს ქალაქებში და მაზრებში გაკეთებულ იქნა 95.000-მდე ხოლერის საწინააღმდეგო აცრა. მალარიასთან საბრძოლველად მოწყობილი იყო ორი სამეცნიერო ექსპედიცია კახეთში და ყარიაზში და აგრეთვე სპეციალური კურსები ექიმებისათვის.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამსაჯულო-საექსპერტიზო განყოფილების მიერ გახსნილია ერთი სამსაჯულო-ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია, სადაც შესრულებულ იქნა 308 გამოკვლევა და გაცემულია 2000-მდე აქტი. ბავშთა და დედობის დაცვის განყოფილების მიერ გახსნილია 7 შესამოწმებელი და რძის გასანაწილებელი პუნქტი, 2 სამშობიარო თავშესაფარი, 4 ძუძუმწოვარ ბავშვთა თავშესაფარი, და ერთი ცენტრალური რძის სამზარეულო—ეს თბილისში. ბათუმში—3 [illegible]-სასინჯი პუნქტი, სადაც იძლევიან რძის ანარიცხსაც, ორი ბავშვთა სახლი და სანიტარულ-გინეკოლოგიური ამბულატორია: კოჯორს, ქობულეთში, ფოთსა და ქუთაისში მოწყობილი იყო საზაფხულო კოლონიები. საფარმაციო განყოფილების მიერ გაეროვნებულ იქნა 150 აფთიაქი და მთელი მათი ქონება თავმოყრილია სახელმწიფო საფთიაქო ცენტრალურ საწყობში; გახსნილია ლაბორატორია გალენის პრეპარატებისა. მოკლე ხნის განმავლობაში, მძიმე პირობებში, მოწყობილ იქნა საკურორტო სამედიცინო დახმარება, რომლითაც სეზონის განმავლობაში—10 ივლისიდან 30 სექტემბრამდე სარგებლობდა 709 ავათმყოფი, ამათში 45 პროც. მუშები და 9 პროც. წითელ არმიელები.

თბილისში გახსნილია ფიზ. ტერაპევტიული ინსტიტუტი.

ასეთია მოკლეთ, ამ ცოტა ხნის განმავლობაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაობა.

შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედება

(1921 წლის მარტიდან ნოემბრამდე)

ვიდრე შევუდგებოდეთ მოხსენებას შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით დავახასიათოთ ის შრომის სამინისტრო, რომელიც მენშევიკებმა მემკვიდრეობით გადმოგვცა.

შრომის სამინისტრო შრომის ორგანიზაციის დარგში თავის თავს უმაღლეს სახელმწიფოებრივ ორგანოდ სთვლიდა, ისეთ ორგანოდ, რომელსაც დემოკრატიულ რესპუბლიკაში „მუშათა პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა".

ამ სამინისტრომ ორ წელზე მეტი იარსება და ამ ხნის განმავლობაში უმთავრესად თავი იჩინა „ისეთ მუშათა პოლიტიკის წარმოებით", რომელსაც აზრად ჰქონდა შრომისა და კაპიტალის შერიგება.

მთელი მისი მოღვაწეობა და მისი აპარატების ორგანიზაციული სტრუქტურა ისე იყო მომართული, რომ მუშათა საკითხში მხოლოდ „შეთანხმება შერიგების" პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა.

ამ რიგად მუშაობა შრომის ორგანიზაციის დარგში განზე დარჩა.

მენშევიკურმა სამინისტრომ ვერ შექმნა [illegible] მუშათა კანონმდებლობა, თუ არ ჩავთვლით კანონს „შრომის ხელშეკრულების შესახებ", რომელიც მიღებულ იქმნა მისი მოღვაწეობის დასასრულს და რომლის შესახებაც პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ პროტესტი განაცხადა.

ამ კანონმა გააუარესა იმ პირთა მდგომარეობა, რომელნიც ქირით მუშაობდნენ, და პროფესიონალური კავშირები უუფლებო ორგანიზაციებად გადააქცია.

მეორე მისი ორგანო—შრომის სამინისტრო, რომელსაც ცხოვრებაში მუშათა კანონმდებლობა უნდა გაეტარებინა (მომენტისთვის უნდა შეეგნებინა შრომის დაცვის ის კანონები, რომელნიც მეფობის და ამიერ-კავკასიის კომისარიატის დროიდან დარჩა), როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ, ისე იყო დატვირთული კონფლიქტების გარჩევით, რომ არ შეეძლო განეხორციელებინა უფლებების ის მინიმუმიც-კი, რომელსაც სანიტარულ და ჰიგიენურ მეთვალყურეობის საქმეში ძველი მთავრობათა კანონი აწესებდა.

მანვე წაართვა პროფესიონალურ კავშირებს და მიისაკუთრა უფლება მუშათა ყოფა-მდგომარეობის და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ; ხელთ ჩაიგდო მთელი სატარიფო მუშაობა და გარიყა ამ საქმიდან მუშათა ორგანიზაციები.

სამინისტროს მთელმა სატარიფო პოლიტიკამ, მისი ხელმძღვანელობის მოწმობით, მუშათა კლასი, რომელიც „სოციალიზმისთვის" საბრძოლველად მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლისთვის, იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მისი ბიუჯეტი 1920 წლის იანვრისთვის ბიუჯეტის 8 პროც.-მდე დავიდა.

იგივე მუშათა ორგანიზაციები, რომელთათვისაც საჭირო იყო სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია, არსებობდნენ სამინისტროს გარეშე და ამ სამინისტროს ჩარევა ხშირად აფერხებდა მათ მუშაობას. ასე, მაგალითად, სამინისტრომ არა ერთხელ უარჰყო მუშათა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კანონები მუშათა დაზღვევის და შრომის ბირჟის შესახებ.

იმ ანგარიშიდან, რომელიც შრომის სამინისტრომ დამფუძნებელ კრების ფრაქციას წარუდგინა, სჩანს, რომ პოლიტიკა „შეთანხმებისა", მუშათა კლასის „თვით-შეზღუდვისა", მისი ორგანიზაციების დაქუცმაცება-დანაწილებისა, დიდხანს ვერ გასტანდა, და, რომ მუშები შეტევაზე გადავიდოდნენ; „ამიტომ სამინისტრო თავის მოხსენებაში ურჩევდა დამფუძნებელ კრების ფრაქციას, შესდგომოდა სხვა კლასების შეზღუდვას მუშების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რადგან მუშები იმ სოციალური ბაზას წარმოადგენენ, ნათქვამი იყო მოხსენებაში, რომელზედაც დამყარებულია დემოკრატიული რესპუბლიკა".

მაგრამ უკვე გვიან იყო ხელისუფლება მუშა-გლეხთა ხელში გადავიდა და შრომის სახალხო კომისარიატს, რომელმაც შრომის სამინისტროს ადგილი დაიჭირა, მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ ეხელმძღვანელნა [illegible] უკანასკნელი რჩევით.

მართლაც და გაგება უნდა იმას, რომ „მუშათა კლასის მსხვერპლი საჭიროა მომავლისთვის. მაგრამ იმისთვის, რომ ამ კლასმა მსხვერპლი გაიღოს, მიღებულ უნდა იქმნეს არაჩვეულებრივი ზომები მუშათა მდგომარეობის რეალურად გაუმჯობესებისათვის" ([illegible], შრომის მინისტრის ამხანაგისა). მაგრამ ამის განსახორციელებლად საჭირო მუშათა ხელისუფლება და სახელმწიფოს პროლეტარული ორგანიზაციაა.

პირველ დღიდანვე პროფესიონალურ დარგში ხომ შემდეგ კომუნისტებმა შეუდგნენ მენშევიკების ყვითელ კავშირების გარდაქმნა-გადაკეთებას. 16 მარტისთვის წინასწარი მუშაობა დასრულებული იყო. ამ დროისთვის პროფესიონალურმა კავშირებმა უკვე გამოჰყვეს შრომის მომწესრიგებელი სახელმწიფოებრივი ორგანო—შრომის სახალხო კომისარიატი. თვითონ კავშირებიც წარმოების პრინციპზე იქმნენ აგებული. ამრიგად, გადაიქცნენ რა [illegible] ორგანიზაციებიდან სამეურნეო ორგანიზაციებად, კავშირებმა დააყენეს შრომის სახალხო კომისარიატი—„გახდეს იგი, როგორც სახელმწიფოებრივ ხელისუფლების ორგანო, მუშათა კლასის [illegible] პოლიტიკის გამტარებელ ორგანოდ, რისთვისაც მან უნდა გამოიყენოს მთელი თავისი აპარატი, მთელი ძალა სახელმწიფოებრივ ძალდატანებისა" (საქართ. პროფ. კავშ. საბჭოს პლენუმის რეზოლუცია 3 | 4 1921 წ.).

ეს დირექტივა წარმოებითი პრინციპზე შეკავშირებულ პროლეტარიატის ავტორიტეტულ წარმომადგენლობისა სავსებით არკვევდა კომისარიატის მომავალ მუშაობის მიზნებს და მისი მოღვაწეობის ფარგლებს.

მუშაობის დასაწყისშივე კომისარიატი შეუდგა მენშევიკების მემკვიდრეობის ლიკვიდაციას—საჭირო იყო შრომის სამინისტროს გარდაქმნა მუშა-გლეხთა სახელმწიფოს ორგანოდ.

ამრიგად, საჭირო შეიქმნა შრომის ორგანიზაციის დარგში პროფესიონალურ კავშირებისა და შრომის სახალხო კომისარიატის ფუნქციათა განაწილება.

პირველ დღეებში მთელი მუშაობა ტარიფისა და შრომის მოწესრიგების შესახებ შრომის სამინისტროდან საქ. პროფ. კავშირ. საბჭოს გადაეცა. მაგრამ, რადგან კავშირების აპარატი ორგანიზაციის პროცესს განიცდიდა. საკონფლიქტო საკითხების გადაჭრა უხდებოდა ჩვენს იურიდიულ განყოფილებას, სადაც მუშაობდა საკონფლიქტო კომისია, რომელშიაც შედიოდა კავშირის ორი წარმომადგენელი, ხოლო თავმჯდომარედ იყო შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი (პარიტეტი გაუქმებულ იქმნა).

ა. მიქაძე.

(დასასრული იქნება)

ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის დღესასწაულისათვის

ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისიისაგან

(ჯარის ნაწილებისა და მუშების ცნობად და სახელმძღვანელოთ).

1) ყველა ჯარის ნაწილები და მუშები შეიკრიბებიან დიდუბის მოედანზე.

ჯარის აღლუმი დანიშნულია სწორეთ ა. წ. 7 ნოემბერს დღის 12 ნახ. საათ. ადგილობრივი დროით. აღლუმის შემდეგ იხსნება მიტინგი.

მიტინგის შემდეგ წითელი ჯარები მიდიან ცერემონიალური მარშით და მათ მიჰყვებიან [illegible] რაიონები ორკესტრით.

12 საათისათვის ყველა რაიონები აუცილებლათ უნდა იყვნენ დიდუბის მოედანზე.

ქალაქის რევკომს წინადადება ეძლევა მიიღოს ყველა ზომები, რომ მიტინგის შემდეგ დიდუბის მოედანთან დამზადებული იქნეს ტრამვაის ყველა ვაგონები, რომლებიც კი ხმარებაშია, 3 და 5 რაიონების სახლებში წასაყვანად.

2) მიტინგი რაიონებში და მარშრუტი: ყველა რაიონებში დაწესებულებებიდან და წარმოებებიდან თავს მოყრა 9 საათისათვის (მე-3 და 5 რაიონები დილის 8 ნახ. საათ.) უნდა დასრულდეს. დაწესებულებებში და წარმოებებში თავს იყრიან და შემდეგ მიდიან რაიონში მიტინგზე დანიშნულ ადგილას. ყველა რაიონებში მიტინგებს ხელმძღვანელობენ რაიონის პასუხისმგებელი მდივნები.

I რაიონი. მიტინგის ადგილი—ნაძალადევის მოედანი. მიტინგის დასაწყისი დილის სრულ 10 საათზე. დასასრული 11 საათზე.

მარშრუტი. ნაძალადევის მოედანი, ჩერქეზიშვილის, მალაკანის, ვოკზალის, მიხეილის [illegible] ქ. და ელისაბედის ქუჩით დიდუბის მოედანზე. მსვლელობის წინ ორკესტრი.

II რაიონი. მიტინგის ადგილი—ჩერქეზიშვილის მოედანი (თამბაქოს ქარხანა „[illegible]"). მიტინგის დასაწყისი დილის სრულ 10 ს. დასასრული დღის 11 ს.

მარშრუტი: ჩერქეზიშვილის მოედანი, ჩერქეზიშვილის ქ., მოხვევა ვორონცოვის ხიდზე, შემდეგ მიხეილის პროსპექტით მუშტაიდისკენ, დიდუბეში.

III რაიონი მიტინგის ადგილი—კახეთის მოედანი. მიტინგის დასაწყისი დილის სრულ 9 ნახ. საათ. დასასრული 10 ნახ. საათზე.

მარშრუტი: კახეთის მოედანი, ციციანოვის აღმართი, 19 თებერვლის ქ. (პესკოვსკის), მიხეილის, მუშტაიდი, დიდუბე.

IV რაიონი: მიტინგის ადგილი—თავისუფლების მოედანი (ერევნის მოედანი). მიტინგის დასაწყისი დილის სრულ 10 ს. დასასრული 11 ს.

მარშრუტი: თავისუფლების მოედანი, გოლოვინის პროსპ. ვერის ხიდი, მიხეილის, მუშტაიდი, დიდუბე.

V რაიონი. მიტინგის ადგილი—მოედანი ადელხანოვის ქარხნის წინ. მიტინგის დასაწყისი დილის სრულ 9 ნახ. ს. დასასრული 10-ნახ. საათ.

მარშრუტი. მოედნიდან ვორონცოვის ქუჩით, მაიდნისა და სომხის ბაზრის გავლით, პუშკინის ქ. ვორონცოვის ხიდი, მიხეილის პროსპ., მუშტაიდი, დიდუბე.

იმ შემთხვევაში, თუ 7 ნოემბერს ცუდი ამინდი იქნა აღლუმი უნდა გაიმართოს რუსთაველის (გოლოვინის) პროსპექტზე. ჯარები დგება პროსპექტის მზიან მხარეზე მარჯვენა ფრთით [illegible].

მუშების ორგანიზაციები კი მწკრივდებიან პროსპექტის მეორე მხარეზე—ჯარების პირის-პირ დანარჩენი წესრიგი რჩება ძველი. ორატორები გამოვლენ სამ ადგილას:

1) საქართველოს რევკომის ბალკონიდან
2) მუშათა სასახლის ტრიბუნიდან
3) თვითმმართველობის ტრიბუნიდან.

ორშაბათს, 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულზე წარმოდგენების, კონცერტების, მიტინგების და სეანსების დაწყებამდე საღამოს 8 საათზე სიტყვებით გამოვლენ შემდეგი ამხანაგები:

თეატრი სატირ—[illegible]—ლოლობერიძე, სახალხო სახლი—დორენკო. სახელმწიფო დრამა—მახარაძე.—ოპერა—კალანდაძე. [illegible] კლუბი—[illegible]. თეატრი კომუნ-მეურნეობის (ტივოლი)—სოკოლოვსკი. ცენტრ. მუშათა კლუბი—ივანოვი. ორთაჭალის თეატრი—ვირაპი. ნაძალადევის თეატრი—მდივანი. მილიციის თეატრი—რუბენი. „მიხა ცხაკაიას" თეატ.—ერქომაიშვილი. საქართვ. ქართულ ჯარის თეატრი—ნ. ოკუჯავა. 5 რაიონის კლუბი (ბოტანიკური ქუჩა) საღამოს 5 საათზე—[illegible]. არსენალი—ბახუტოვი. 8 საათზე კინემატოგრაფებში: არტისტი—ამხ. თაბუკოვი. აპოლო—მამულაიშვილი. კინო-თეატრი (ჩერქეზიშვ. ქუჩ.)—კიკნაძე. კინო-პალასი—[illegible], მინიონ—[illegible]. ალკაზარ—კვირიკაძე. კინო—[illegible].

რაიონების მიტინგებზე: 1 რაიონი—ამხ. ლოლობერიძე და მდივანი—(დილ. 10 საათ.) 2 რაიონი—ივანოვი და ბრონი—(დილ. 10 საათ.) 3 რაიონი—რუბენი და დორენკო—(დილ. 10 ნახ. საათ.) 4 რაიონი—კალანდაძე და [illegible]—(დილ. 10 საათ.) 5 რაიონი—[illegible]—(დილ. 10 ნახ. საათ.).

კომ. ს. თავმჯ. თუმანოვი.

ქრონიკა

◆ **გემი „რეშიდის" მოსვლა.** პირველ ნოემბერს ბათუმში მოვიდა გემი „რეშიდი" 7,000 ტონი საქონლით. გემმა მოიტანა მანუფაქტურა, ფეხსაცმელები, საპონი, ჩაი, შაქარი, საქარინი, 850 ტონი ფქვილი და სხვ.

◆ **ტრამვაის უფასო ბილეთებით სარგებლობის მოსპობა.** კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილების თანახმად და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დამტკიცებით კერძო წარმოების მუშებს და მოსამსახურეებს ესპობათ უფლება ტრამვაის უფასო ბილეთებით სარგებლობისა, ამის გამო მათთვის უფასო წიგნაკების მიცემა შეწყვეტილია. კერძო წარმოების მუშებს ტრამვაის ხარჯს აძლევს მწარმოებელი.

◆ **მიწის ძვრა.** ღამით 4—5 ნოემბერს ორჯერ 1 საათ და 35 წ. და 2 სათ. 2 წ. თბილისში და მის მიდამოებში ოცდა ათი ვერსტის მანძილზე მოხდა საგრძნობი მიწის ძვრა.

◆ **თბილისის განტვირთვა.** 4 ნოემბერს მისცემენ 30 ვაგონს იმ პირთ, რომლებიც გადასახლებულ უნდა იქნენ ქ. თბილისიდან.

◆ **მუშათა ბინები.** მუშათა ყოფა ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიამ კვირას, 6 ნოემბერს გახსნა 21 ახალი მუშათა სახლი,—საწარმოო პროფკავშირების წევრებისათვის: მელითონეთათვის ქუჩებზე—ბებუთოვის № 56, ანდრონიკოვის № 8, [illegible] № 5, [illegible] № 6, [illegible] №№ 35 და 36, [illegible] ელისაბედის № 39, კორგანოვის № 26 და 28, მტკვრის № 4. ციციანოვის № 10, რკინის გზელთათვის—ბაქოს № 2, [illegible] ქ. № 10, კომუნალურ მეურნეობისთვის—მადათოვის ქ. № 1, და პლეხანოვის—№ 105, მეტყევეთათვის—[illegible] № 38 და [illegible] № 14, აღმშენებლებისთვის—[illegible] №5, [illegible] მომუშავეთათვის—სემინარიის №4, სახალხო კავშირისთვის—ლენინის ქ. №3 და [illegible]—[illegible] ქ. 18 და 19.

◆ **მუშათა ბავშვების თავშესაფრები.** ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულის დღეს, მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია, ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში გახსნის მუშათა ბავშვების თავშესაფრებს—რიცხვით 10 მდე.

◆ **გემების მოსვლა.** 3 ნოემბერს ბათუმში მოვიდა ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულ კომიტეტის გემი 55,000 ფუთი სხვა და სხვა საქონლით.

◆ **შავი ქვის გატანისათვის.** ფოთში მოვიდნენ და შავი ქვით იტვირთებიან ორი ინგლისური გემი, [illegible] 300 000 ფ. შავი-ქვის დატვირთვა. ერთი ამ გემთაგანი დატვირთვას ფოთის საწყობების მარაგიდან, მეორესათვის კი შავ ქვას მოიტანენ ჭიათურიდან. უცხო გემების შავი ქვით დატვირთვის გამო, ტფილისიდან გაიგზავნა შავი ქვის კომიტეტის კომისია. გამგზავრების მიზანია მუშათა საკითხის მოწესრიგება დატვირთვისა და გადმოტვირთვის საქმეში და საერთოდ შავი ქვის ექსპორტის საქმის მოგვარებით.

◆ **ტყის ხანძარი** თელავის მაზრაში ტყის ხანძარია. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დეპეშით ნება დართო ადგილობრივ რევკომს ხანძრის ჩასაქრობად მოსახლეობის მობილიზაცია მოახდინოს, ხანძრის რაიონიდან 14 ვერსიან რადიუსის რაიონში.

◆ **სოციალური უზრუნველყოფა.** სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ გამომუშავებული პროექტი დეკრეტისა და წარდგენილია დასამტკიცებლად სახალხ. რევკომში შესახებ სპეციალური გადასახადისა მშრომელთა სოც. უზრუნველყოფის საჭიროებისათვის. დეკრეტი შემდეგი შინაარსისაა: განზრახულია გადასახდევინონ, ნორმის გარეშე, სპეციალური გადასახადი: რკინის გზის სამგზავრო ბილეთებიდან 5 პროც. მისი ღირებულებისა, კერძო ტვირთიდან და ბარგიდან რკინის გზაზე—3 პროც. დეპეშებიდან—3 პროც. საფოსტო და სამრეწველო პროცენტებიდან—10 პროც. გასართობ საზოგადო დაწესებულებებიდან: თეატრები, კინოების, ცირკების, კონცერტების და სხვა ბილეთებიდან 5 პროც. ბილეთის ღირებულებისა. გადასახადის წესი და აღრიცხვა გადასახადის დაკისრებულ ექნება სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს ფინანსთა კომისარიატთან ერთად.

◆ **ერთიანი საფერშლო კურსები.** თბილისში არსებული ორი კერძო საფერშლო სკოლები ბებია ქალთა საზოგადოების სკოლა და თავისუფალი საფერშლო სკოლა, მიმდინარე აკადემიური წლის დამდეგიდან შეერთებულნი არიან და უკვე მოქმედებენ, როგორც ერთი სასწავლებელი. მასში სწავლობს 80 მდე კაცი.

— **ქალაქის რევკომში.** თბილისის ქალაქის რევკომის საინფორმაციო განყოფილება აწყობს ქალაქის რევკომის და მის ორგანიზაციების მოსამსახურეთა პირად შემადგენლობის მაგიდას; მაგიდა მოწყობილი იქნება ახალ საფუძველზე ბარათების სისტემის შემოღებით.

◆ **შრომის სახალხო კომისარიატი.** გადავიდა რუსთაველის პროსპექტი № 19 ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბინაზე. შრომის დაცვის განყოფილება მოთავსებულია მუშათა სასახლეში საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საცდელ საჩვენებელი სკოლა

7 ნოემბრისთვის პლეხანოვის ქუჩაზე სახლი № 178 გაიხსნება საცდელ-საჩვენებელი სკოლა საკრებული. ამ დაწესებულების მიზანია მისცეს სოციალური აღზრდა-განათლება იმ ბავშვებს, რომლებიც სხვა და სხვა ეკონომიური პირობების გამო სკოლებში ვერ მიდიან და თავის წლოვანობის და ცოდნის მიხედვით სკოლაში არსებულ ჯგუფებს არ შეეფერებიან და აგრეთვე დაიცვას ქუჩის მავნე გავლენას ის ბავშვები, რომლებიც სკოლაში სწავლობენ, მაგრამ სკოლის გარეშე ყოველგვარ კულტურულ და მორალურ გავლენას მოკლებული არიან. პირველ ხანს სკოლაში ჩაირიცხება 50 ბავშვი, 9—14 წლამდე. წერა კითხვის უცოდინარი ან ცოტათი მცოდნე—ეს ბავშვები სკოლა საკრებულოში იქნებიან 9—7 საათამდე და მიიღებენ სადილს. საკრებულოში ჩაირიცხება 100 ბავშვი 8—14 წლამდე. მეცადინეობა იქნება 4—7. პირველ რიგში სკოლაში მიიღება ობოლი ბავშვები, რომლებიც იძულებული იყვნენ თავისი შრომით ესაზრდოთ და [illegible] და შემდეგ სხვები ცუდ ეკონომიურ და ოჯახურ პირობებში მყოფნი. რეგისტრაცია ამ ბავშვთა ხდება სახალხო განათლების კომისარიატში ოთახ. № 5. 9 ს.—2 საათამდე. საკრებულოში ჩარიცხვა იმ ბავშვთა, რომლებიც ახლო მდებარე უბნებში ცხოვრობენ ხდება სკოლა—საკრებულოს შენობაში პლეხანოვის ქ. № 178 3 ნოემბრიდან საღამოს 4 ს.—6 საათ.

საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენა

გამოფენა გაიხსნება 3 დღით: 7, 8 და 9 ნოემბერს, 10 დან 4 საათამდის, ყოფილი არტისტიული საზოგადოების შენობაში; (რუსთაველის პროსპექტი № 19) გამოფენაზე განმარტებას მისცემენ სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები თავიანთ დაწესებულების ექსპონატების შესახებ. ს. ბ. ქ. მუსიკალურ განყოფილებას განზრახული აქვს გამოფენაში მონაწილეობა მიაღებინოს ხოროს და სოლისტებს. სასურველია, რომ 8 და 9 ნოემბერს გამოფენას დაესწრონ კოლექტივები, ქარხნების და ფაბრიკების მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები და სხვა.